საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჯიბეებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 25 თებერვალი. 2022 წ. №30 (9368) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

პუტინი გაპიტლერდა!

მიწაზე დახარბებულმა რუსეთმა ხელახლა ძმასავით უკრაინელ ძმაზე აღმართა ხელი!

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, მან მიიღო გადაწყვეტილება დონბასში სპეციალური სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ.

„გარემოებები მოითხოვს ჩვენგან გადამწყვეტი და დაუყოვნებელი ზომების მიღებას. დონბასის სახალხო რესპუბლიკებმა დახმარების თხოვნით მიმართეს რუსეთს. ამასთან დაკავშირებით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ფედერაციის საბჭოს სანქციით და ფედერალური ასამბლეის მიერ რატიფიცირებული, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებთან მეგობრობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების შესაბამისად, მე გადავწყვიტე ჩავატარო სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, — განაცხადა პუტინმა სატელევიზიო მიმართვაში. მისი მტკიცებით, რუსეთი არ გეგმავს უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციას, მაგრამ მხარს უჭერს უკრაინის ხალხების **„თვითგამორკვევის უფლებას.“**

პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ ნატო ყოველწლიურად **„უცერემონიოდ ქმნის ფუნდამენტურ საფრთხეებს, ფართოვდება აღმოსავლეთით და სამხედრო ინფრასტრუქტურას რუსეთის საზღვრებთან აახლოებს.“**

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ 30 წლის განმავლობაში დაჟინებით და მოთმინებით ვცდილობდით, ევროპაში თანაბარი და განუყოფელი უსაფრთხოების პრინციპებთან დაკავშირებით ნატოს წამყვან ქვეყნებთან შეთანხმებისთვის მიგვეღწია. ჩვენი წინადადებების საპასუხოდ მუდმივად ვაწყდებოდით ცინიკურ ტყუილსა და სიცრუეს, ან ზეწოლისა და შანტაჟის მცდელობას“!..

უკრაინა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს წყვეტს!

— ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** განაცხადა.

„ეს დილა ისტორიაში შევიდა, თუმცა ეს ისტორია განსხვავებულია ჩვენი ქვეყნისა და რუსეთისთვის. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გავწყვიტეთ. უკრაინა თავს იცავს და თავის თავისუფლებას არავის დაუთმობს. უკრაინელებისთვის დამოუკიდებლობა და საკუთარ მიწაზე ცხოვრების უფლება უმაღლესი ღირებულებაა. დღეს დილით რუსეთი საძაგლად დაესხა თავს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურმა გერმანიამ გააკეთა“, — დასძინა უკრაინის პრეზიდენტმა.

ილია მეორე: შეჩერდით! ჩვენ მსოფლიო ტრაგედიის პირისპირ ვდგავართ!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება.

„უკრაინაში დროულად უნდა შეჩერდეს საომარი მოქმედებები, თორემ იგი მსოფლიო ტრაგედიად იქცევა!“

იური კოჩეტენკო:

უკრაინელები და ქართველები ერთად გავიმარჯვებთ ამ ამაზრზენ მტერზე!

იხ. 8 გვ.

შეძენილი ვითარებიდან გამომდინარე, რაგბი ევროპამ 27 თებერვალს თბილისში საქართველოსა და რუსეთის შორის გასამართი მატჩის გადადების გადაწყვეტილება მიიღო.

რადგან თამაში 2023 წლის მსოფლიო თასის ეგიდითაც უნდა გამართულიყო, რაგბი ევროპა კონსულტაციებს გადის მსოფლიო რაგბთან, რის შემდეგაც მატჩის ჩატარების სავარაუდო ვადები გაირკვევა. ასევე, გაუქმდა 27-28 თებერვალს მოსკოვში გასამართი თოვლის რაგბის ჩემპიონატი, 26 თებერვალს ესპანეთსა და რუსეთის ქალთა ნაკრებებს შორის მადრიდში გასამართი მატჩი კი, ჯერჯერობით ძალაში რჩება.

27 თებერვალს საქართველო-რუსეთის სარაგბო მატჩი არ ჩატარდება!

ძალა ერთობაშია!

დავიწყებ იმით, რომ ეროვნული თანხმობის დღევანდელი სესია, რომელიც უნდა ჩატარებულიყო, გავაუქმე, რამეთუ ეროვნული თანხმობის ერთი საკითხი გვაქვს: ეს არის უკრაინა და ჩვენი სოლიდარობა. დღეს უკრაინისთვის ტრაგიკული დღეა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე მშვიდობის შენარჩუნებისთვის ყველაფერი იღონა, ვერ აიცილა თავიდან რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია. დღეს, როცა უკრაინა ცდილობს, გაუმკლავდეს ამ უმძიმეს ვითარებას, საქართველო მის გვერდით დგას. ეს დღე ასევე ტრაგიკულია საქართველოსთვის და ყველა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ერისთვის ევროპასა და მსოფლიოში. ომი ევროპის გულში გაჩაღდა დიალოგის ყველანაირი მცდელობის მიუხედავად. როგორც საქართველოს პრეზიდენტს — პრეზიდენტი ქვეყნის, რომელმაც ასეთივე აგრესია განიცადა, მინდა გამოვუცხადო უკრაინის პრეზიდენტს, მთავრობას და ხალხს ჩვენი სრული სოლიდარობა. მინდა პატივი მივაგო იმ უკრაინელ ჯარისკაცებს და მოქალაქეებს, რომლებიც დღეს შეეწირნენ თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას. მინდა შევუერთდე გაეროს გენმდივნის და სხვა მსოფლიო ლიდერების მოწოდებებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე. მინდა მივმართო ჩვენს მოსახლეობას, პოლიტიკურ სპექტრს და მთავრობას: დღეს, როგორც არასოდეს, ჩვენთვის და ჩვენი მომავლისთვის აუცილებელია ეროვნული თანხმობა და ერთსულოვნება. ძალა ერთობაშია!..

სალომე ზურაბიშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი

პუტინი უკრაინას ვერ „ჩამოწერს“!

ზუსტად ვიცით, ჩვენ არ გვინდა ომი — არც ცივი, არც ცხელი, არც ჰიბრიდული. თუმცა, თუკი შემოგვიტევენ, ჩვენი ქვეყნის წართმევას დაგვიპირებენ, ჩვენი თავისუფლების, სიცოცხლის, ჩვენი შვილების სიცოცხლის წართმევას, ჩვენ დავიცავთ თავს. თავდასხმისას თქვენ დაინახავთ ჩვენს სახეებს და არა ჩვენს ზურგებს.

ვოლოდიმირ ზელენსკი

ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეებს მიმართა

უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ზელენსკის ვიდეომიმართვას, რომელშიც ის თავდაპირველად უკრაინულად საუბრობს, ხოლო შემდეგ მიმართვას რუსულ ენაზე განაგრძობს.

უკრაინულ ენაზე საუბრისას ზელენსკიმ აღნიშნა, რომ შეხვდა ბიზნესის წარმომადგენლებს და ასევე, ისაუბრა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებზე. რაც შეეხება რუსულ ენაზე მიმართვას, ზელენსკიმ განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრის ინიცირება მოახდინა, თუმცა შედეგად მიიღო სიჩუმე. **„თუმცა, სიჩუმე უნდა იყოს დონბასში“,** — განაცხადა ზელენსკიმ.

რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვისას ზელენსკიმ აღნიშნა, რომ მათ მიმართავს, როგორც უკრაინის მოქალაქე და არა ქვეყნის პრეზიდენტი.

„ჩვენ გვყოფს 2 000 კილომეტრზე მეტი საერთო საზღვარი, რომლის გასწვრივაც დგას თქვენი ჯარი, თითქმის ორასი ათასი ჯარისკაცი, ათასობით სამხედრო მანქანა. თქვენმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა მათ ნაბიჯს წინ, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ნაბიჯი შეიძლება, იქცეს ახალი ომის საწყისად ევროპის კონტინენტზე“, — აცხადებს ზელენსკი. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ომის საბაბად ნებისმიერი პროვოკაცია შეიძლება, იქცეს. რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვისას ზელენსკიმ აღნიშნა, რომ მათ უკრაინის შესახებ ახალ ამბებში არ აწვდიან ნამდვილ ინფორმაციას.

„თქვენ გეუბნებიან, რომ ჩვენ ვერ ვიტანთ რუსულ კულტურას. როგორ შეიძლება, ვერ იტანდე ნებისმიერ კულტურას. მეზობლები ყოველთვის ამდიდრებენ კულტურულად ერთმანეთს, თუმცა ეს მათ არ ხდის ერთიანს, არ გვაზავებს ჩვენ თქვენში. ჩვენ განსხვავებულები ვართ, მაგრამ ეს არ არის საბაბი იმისთვის, რომ ვიყოთ მტრები.

ჩვენ გვინდა, თავად განვსაზღვროთ და ვაშენოთ ჩვენი ისტორია, მშვიდად, წყნარად, პატიოსნად“, — განაცხადა ზელენსკიმ. ზელენკიმ აღნიშნა, რომ უკრაინელ ხალხსა და ხელისუფლებას უნდათ მშვიდობა და მოუწოდა რუს ხალხს, მოუხმონ საღ აზრს. ზელენსკის თქმით, უკრაინას მხარს უჭერს მრავალი ქვეყანა, რადგანაც მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, დაიცვას სამართლიანობა.

„ზუსტად ვიცით, ჩვენ არ გვინდა ომი — არც ცივი, არც ცხელი, არც ჰიბრიდული. თუმცა, თუკი შემოგვიტევენ, ჩვენი ქვეყნის წართმევას დაგვიპირებენ, ჩვენი თავისუფლების, სიცოცხლის, ჩვენი შვილების სიცოცხლის წართმევას, ჩვენ დავიცავთ თავს. თავდასხმისას თქვენ დაინახავთ ჩვენს სახეებს და არა ჩვენს ზურგებს“, — განაცხადა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკრაინა საფრთხეს არ წარმოადგენდა და არც მომავალში წარმოადგენს რუსეთისთვის. მისი თქმით, უკრაინა მისი უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს და მისი მიზანია მშვიდობა.

„უნდათ რუსებს ომი? ძალიან მინდა, ამ შეკითხვას გავცე პასუხი. ეს პასუხი დამოკიდებულია მხოლოდ თქვენზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებო“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა მიმართვისას.

მოწოდება ანტიპუტინისტური კოალიციის შექმნისკენ!

უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი მსოფლიო ლიდერებს ანტიპუტინისტური კოალიციის შექმნისკენ მოუწოდებს.

„ვესაუბრე ჯო ბაიდენს, ოლაფ შოლცს, შარლ მიშელს, ანდჟეი დუდას, ბორის ჯონსონს. მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ შეაჩერონ პუტინი და ომი უკრაინისა და მსოფლიოს წინააღმდეგ! ვაშენებთ ანტიპუტინისტურ კოალიციას. საჭიროა დაუყოვნებლივი სანქციები და უკრაინის თავდაცვითი და ფინანსური მხარდაჭერა. მსოფლიომ უნდა აიძულოს რუსეთი, მშვიდობას დაუბრუნდეს“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

რუსულმა სამხედრო ტექნიკამ, მათ შორის ჯავშანტექნიკამ დაარღვია უკრაინის საზღვარი ჩერნიგოვის, სუმის, ლუგანსკისა და ხარკოვის რეგიონებში

გავრცელებული ცნობით, ლუგანსკის, სუმის, ხარკოვის, ჩერნიგოვის და ჟიტომმირის რეგიონების სასაზღვრო ქვედანაყოფებს საოკუპაციო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს.

უკრაინის სასაზღვრო სამსახური რამდენიმე ჯარისკაცის დაჭრის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. უკრაინის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, ოკუპირებული ყირიმიდან სარაკეტო იერიში განხორციელდა ხერსონის რეგიონის პრეობრაჟენსკას დასახლების

წინააღდეგ, რასაც ერთი სამხედრო ემსხვერპლა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ კიევის რეგიონში უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ერთ-ერთი ობიექტი სარაკეტო სისტემებით დაიბომბა.

მდგომარეობა კონტროლდება, რუსული ჯარები ზარალს განიცდიან!

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი საომარი ვითარების შესახებ განახლებულ ინფორმაციას ოფიციალური განცხადებით ავრცელებს.

„24 თებერვალს, დილის 05:00 საათზე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ჩვენი ქვედანაყოფების ინტენსიური დაბომბვა აღმოსავლეთით, განხორციელდა სარაკეტო დარტყმები ბორისპოლში, ოზერენოში, კულბაკინოში, ჩუგუევაში, კრამატორსკში, ჩერნობაევკაში, ასევე — უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო ინფრასტრუქტურაზე.

ამავდროულად, აგრესორმა დაიწყო საარტილერიო დაბომბვა სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებსა და დასახლებების მიმართულებით, დროებით ოკუპირებული ყირიმის ადმინისტრაციულ საზღვართან. ეროვნული თავდაცვის ძალები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, თავდაცვის უფლების გამოყენებით, ღირსეულად ეწინააღმდეგებიან მტრის მცდელობებს, გაარღვიონ სახელმწიფო საზღვრები. მდგომარეობა კონტროლდება. რუსული ჯარები ზარალს განიცდიან.

გაერთიანებული ძალების საოპერაციო ზონაში ესროლეს რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების 5 თვითმფრინავსა და 2 ვერტმფრენს, დააზიანეს 2 ტანკი, განადგურდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რამდენიმე სატვირთო მანქანა. უკრაინის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, რომ აგრესორს მაქსიმალური დანაკარგი ჰქონდეს. უკრაინის დამცველთა შორის დანაკარგი არ არის. ჩვენ ჩვენს მიწაზე ვართ და მას არ დავთმობთ! ერთად გამარჯვებამდე!...

ჯო ბაიდენი: ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას

დავაწესებთ მკაცრ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, გავაგრძელებთ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას, — ამის შესახებ მან უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან საუბრის შემდეგ სოციალურ ქსელში დაწერა.

„დავგმე რუსეთის სამხედრო ძალების ეს არაპროვოცირებული და გაუმართლებელი თავდასხმა. მივაწოდე მას ინფორმაცია იმ ნაბიჯებთან დაკავშირ გაეროს უშიშროების საბჭოში. მან მთხოვა, დავურეკო მსოფლიო ლიდერებს და მკაფიოდ ვისაუბრო პრეზიდენტ პუტინის აშკარა აგრესიის წინააღმდეგ და გვერდში დავუდგე უკრაინელ ხალხს. ხვალ მე შევხვდები დიდი შვიდეულის ლიდერებს. აშშ და ჩვენი მოკავშირეები და პარტნიორები დააწესებენ მკაცრ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდაჭერასა და დახმარებას“, — წერს ჯო ბაიდენი.

იენს სტოლტენბერგი: მკაცრად ვგმობ რუსეთის უგუნურ თავდასხმას უკრაინაზე!

რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებულ თავდასხმას ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გმობს.

„მკაცრად ვგმობ რუსეთის უგუნურ თავდასხმას უკრაინაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის უთვალავი მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს. ეს არის საერთაშორისო სამართლის მძიმე დარღვევა და სერიოზული საფრთხეა ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის.

ნატოს მოკავშირეები რუსეთის განახლებულ აგრესიასთან დაკავშირებით შეხვედრას გამართავენ“, — წერს სტოლტენბერგი.

საქართველოს საელჩო უკრაინაში მყოფი მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზის ნომრებს აქვეყნებს

საქართველო ყურადღებით ადევნებს თვალს უკრაინაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ მუდმივ კავშირზე ვრჩებით, როგორც უკრაინელ კოლეგებთან, ასევე ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, — ამის შესახებ უკრაინაში საქართველოს საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც საელჩოში აცხადებენ, უკრაინაში ვითარების შემდგომი ესკალაციის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, საქართველოს საელჩო კიევში და გენერალური საკონსულოები ოდესაში, დონეცკში (რეზიდენციით კიევი) გადასული არიან მუშაობის საგანგებო რეჟიმზე.

„უკრაინის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის მოქმედებს ცხელი ხაზი (380 (63) 376 77 68; (380 (93) 761 17 17; (093) 544 01 47. ამასთან, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები მუდმივ რეჟიმში კონტაქტზე არიან ადგილზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან და მოუწოდებენ მათ გაითვალისწინონ შექმნილი რთული უსაფრთხოების გარემო“, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დონბასში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ განაცხადა. უკრაინის რამდენიმე ქალაქში აფეთქებების ხმა ისმის. ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა.

ჩვენ გავყინავთ რუსულ აქტივებს ევროკავშირში და შევაჩერებთ რუსული ბანკების წვდომას ევროპის ფინანსურ ბაზრებზე. ჩვენ ვგმობთ ამ ბარბაროსულ თავდასხმას და ციინიკურ არგუმენტებს, რომლებიც გამოიყენება მის გასამართლებლად.

ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროკომისიის პრეზიდენტი.

პუტინი გაჰიტლერდა!

ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, როგორი იქნება ჩვენი დასავლელი პარტნიორების, ზოგადად მთელი მსოფლიოს, დასავლური სამყაროს რეაქცია. ირაკლი ღარიბაშვილი

პუტინს მთამოვავლობა დაწყევლის!

მსოფლიო გმობს უკრაინაზე რუსეთის თავდასხმას!

უკრაინის სუვერენულ ტერიტორიებზე რუსეთის თავდასხმა მკაცრად დაგმო არაერთმა მსოფლიო ლიდერმა

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ბორის ჯონსონი** ამბობს, რომ შეძრწუნებულია მოვლენებით და იმით, რომ პრეზიდენტმა პუტინმა სისხლისღვრა აირჩია.

„შეძრწუნებული ვარ უკრაინაში განვითარებული საშინელი მოვლენებით. მე ველაპარაკე პრეზიდენტ ზელენსკის შემდგომი ნაბიჯების განსახილველად. პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინაზე ამ არაპროვოცირებული თავდასხმით სისხლისღვრისა და განადგურების გზა აირჩია. დიდი ბრიტანეთი და ჩვენი მოკავშირეები (მას) გადაჭრით უპასუხებენ"!..

მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა კანადის პრემიერ-მინისტრი **ჯასტინ ტრუდოც**.

„კანადა უმკაცრესად გმობს რუსეთის შემზარავ თავდასხმას უკრაინაზე. ეს არაპროვოცირებული ქმედებები არის უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა განგრძობითი დარღვევა. ეს ასევე არღვევს რუსეთის ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლისა და გაეროს ქარტიის წინაშე", — განაცხადა ტრუდომ.

„მე მტკიცედ ვგმობ რუსეთის სამხედრო თავდასხმას უკრაინის წინააღმდეგ. ეს საფრთხე უქმნის მილიონობით უდანაშაულო ადამიანს და ძირს უთხრის საერთაშორისო წესრიგის საფუძვლებს. ეს ახლა დასავლეთზეა დამოკიდებული, რომ შესაბამისად უპასუხოს. ვდგავართ უკრაინის გვერდით! — ამბობს **გიტანას ნაუსედა,** ლიეტუვის პრეზიდენტი.

„მე ვგმობ სრულმასშტაბიან შეჭრას, რომელიც პრეზიდენტმა პუტინმა წამოიწყო უკრაინის მიმართ. ამას საერთაშორისო საზოგადოებისგან მტკიცე რეაქცია უნდა მოჰყვეს. ნატო დაიცავს საკუთარ თავს და მის ღირებულებებს. ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით", — ასევე „ტვიტერზე" განაცხადა **ეგილს ლევიტსმა,** ლატვიის პრეზიდენტმა.

ესტონეთის პრეზიდენტმა **ალარ კარისმა** კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დაწერა „ტვიტერზე": **„ბოროტება რეალურია. დიდება უკრაინას!"**

კრემლს ვაზღვევინებთ, ასე გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლას **შარლ მიშელი,** ევროპული საბჭოს პრეზიდენტი.

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსულ თავდასხმას **„აგრესიის ბარბაროსული აქტი"** უწოდა. ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ მისი **ქვეყანა გმობს რუსეთის ქმედებებს და პარტნიორებთან ერთად იმუშავებს საპასუხო ნაბიჯზე.**

ბელგიის პრემიერის, **ალექსანდრ დე კროს** თქმით, **ეს ევროპისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მძიმე მომენტია. იტალიის პრემიერმა კი უკრაინაზე რუსეთის თავდასხმას „გაუმართლებელი და უსამართლო" უწოდა.**

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, **ფუმიო კიშიდამ** რუსეთის უკრაინაში შეჭრა დაგმო და განაცხადა, რომ ეს საერთაშორისო წესრიგის საფუძვლებს არყევს. **„ჩვენ მკაცრად ვაკრიტიკებთ რუსეთის ქმედებებს და ვითანამშრომლებთ შეერთებულ შტატებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან სწრაფი რეაგირებისთვის",** — აღნიშნა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა.

საფრანგეთი მკაცრად გმობს რუსეთის გადაწყვეტილებას უკრაინასთან ომის დაწყების შესახებ, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, **ემანუელ მაკრონმა. „რუსეთმა სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს სამხედრო ოპერაციები. საფრანგეთი სოლიდარობას უცხადებს უკრაინას. საფრანგეთი უკრაინელების გვერდით დგას და პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად მუშაობს ომის დასასრულებლად",** — აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

დღეს განსაკუთრებით საშიშია ბირთვული სახელმწიფოების ქიშპი

„საუბარი აღარ არის იმაზე, ომი დაიწყება თუ არა, ომი სამწუხაროდ, დაიწყება, მაგრამ აქ საუბარია, ომი რა მასშტაბის იქნება, — უშუალოდ დონბასის ფარგლებში თუ შესაძლოა, სამივე ან თუნდაც ოთხივე მხრიდანაც", — ასე აფასებს ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი, **ირაკლი ალადაშვილი** რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ, დაძაბულ ურთიერთობას.

— ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ბორის ჯონსონის განცხადებით, მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი გეგმავს „ყველაზე დიდ ომს ევროპაში 1945 წლის შემდეგ". თქვენ პირადად, ელოდებით რუსეთის მხრიდან კიევში შეჭრის შესაძლებლობას და ამ შემთხვევაში, მიიღებს თუ არა ეს ყველაფერი მასშტაბურ სახეს?

— თითქმის ყველა ნიშანია ამის. ორი დღის წინ კიევში, სადაც უკრაინის საელჩოა, ბუხრის საკვამურიდან ამოდიოდა კვამლი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომის ახალ პაპს ირჩევენ, არამედ გასაგებია, რომ იქ წვავდნენ დოკუმენტებს. როდესაც ომი იწყება, იმ ქვეყნის საელჩო შეიძლება აღმოჩნდეს მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე და ის წვავს ასე სასწრაფოდ ყველა დოკუმენტს, ესეც ერთ-ერთი ნიშანია ომის მომზადებისა.

გარდა ამისა, ვიცით, რომ გამოცხადდა ევაკუაცია, შეგვიძლია პარალელის გავლება ცხინვალის 2008 წლის ომთან. ყველაფერი მიდის იმისკენ, რომ შესაძლოა, დღე-დღეზე ასეთი რამ მოხდეს.

— ჩვენს შემთხვევაში ვიცით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი 5 დღე გაგრძელდა. თუკი რუსეთი მართლაც გაბედავს უკრაინაზე თავდასხმას, როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გასტანს ეს ომი? უკრაინული მხარე ამბობს, რომ იბრძოლებენ ბოლომდე...

— უკრაინა საქართველო არ არის, ის ბევრად მეტია შეიარაღებით, მოსახლეობის რაოდენობით. გააჩნია, ტაქტიკა როგორი იქნება. თუ დიდ ომს აირჩევს რუსეთი, მაშინ აირჩევს საჰაერო დარტყმებს, დაბომბვებს, ამას მოჰყვება ცოცხალი ჯავშანტექნიკა. საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინას არ იცავს რელიეფი. ჩვენ მაშინ, სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ კავკასიის ქედი. უკრაინაში, ფაქტობრივად, საზღვარიც არ არის მონიშნული, უკრაინაში დაცვა ბევრად რთულია, გაშლილი მინდვრებია და შეტევა ფართო ფრონტით შეიძლება.

— არსებულ ვითარებას ექსპერტთა ნაწილი აფასებს მესამე მსოფლიო ომის დაწყების წინაპირობად. შესაძლოა თუ არა, შედეგად მივიღოთ მესამე მსოფლიო ომი?

— 20 წლის წინ ვწერდი, როდესაც ჩეჩნეთის მეორე ომი იყო, სანამ ჩვენი ომი დაიწყებოდა, გამოჩნდა მეორე ცივი ომის დაწყების ნიშნები: ფეხზე წამომდგარი პუტინის რუსეთი ცდილობს გაიმეოროს ის, რასაც მეფის რუსეთი აკეთებდა საუკუნეების განმავლობაში, რომ დაიპყროს სხვათა მიწა-წყალი.

რომ არ არსებობდეს ომის ბირთვული საშიშორება, შესაძლოა, დასავლეთის მოქმედებები ბევრად უფრო აქტიური და სხვანაირი ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ რუსეთმა 19 თებერვალს სპეციალურად გამართა ფართომასშტაბიანი სწავლება ბირთვული იარაღის გადამტანი საშუალებებით. დასავლეთს დაანახა, რომ შემონახული აქვს ბალისტიკური რაკეტები. პუტინმა თუ დაიწყო ომი, ეს ბევრ რამეს შეცვლის. რუსეთს სამწუხაროდ აქვს უპირატესობა.

ერთია, დასახლებული პუნქტის აღება და მეორეა, შემდეგ ამის გაკონტროლება. მნიშვნელოვანია რას იზამს უკრაინა - თუ ეს გახანგრძლივდა დროში, უკრაინელებმა შესაძლოა დაიწყონ პარტიზანული მოქმედებები, რაც სერიოზულია და ამას არ ეყოფა ის ძალა, რომელიც რუსეთს მობილიზებული ჰყავს. ყველაფერი დამოკიდებულია, რამდენს გაბედავს პუტინი.

— საქართველოს კონტექსტშიც რომ განვიხილოთ — საუბარია იმის შესახებ, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, რიგში შესაძლოა ჩვენ ვიყოთ. რა საფრთხის წინაშე ვდგავართ კიევზე თავდასხმის შემთხვევაში?

— უკრაიანაში თუ გამარჯვებას მიაღწია რუსეთმა, მაშინ შემდეგი დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპა იქნება. ჩვენი მიმართულება რუსეთისთვის აქტუალური უკვე აღარ არის იმის ფონზე, რასაც რუსეთმა მიაღწია მაშინ ჩვენთან დაკავშირებით და, რაც დაუშვა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ.

რუსეთს, სამწუხაროდ, საქართველოს ნაწილი ოკუპირებული აქვს და რომ მოინდომოს, რა თქმა უნდა, მას შეუძლია კიდევ ბევრი ცუდი რამ გაგვიკეთოს, თუმცა, დღეს საუბარი საქართველოს დონეზე აღარაა, თვით უკრაინის დონეზეც აღარ არის. საუბარია მსოფლიო დონეზე, ბირთვული სახელმწიფოების დონეზე.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

პრეზიდენტო პუტინო, კაცობრიობის სახელით მოგმართავთ, დააბრუნეთ თქვენი ჯარები რუსეთში.
ანტონიო გუტერეში.
გაეროს გენერალური მდივანი

უკრაინელებმა ჯერ კიდევ 2010 წელს თქვეს, უნდა მოვიკვეთოთ დონბასი და ყირიმი, ვინაიდან ხელს გვიშლის ევროპასთან ინტეგრაციაშიო!

დონბასის აღიარება შესაძლოა, არც იყოს შრიგო გამოსავალი...

ვლადიმერ პუტინი ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ მინსკის შეთანხმებები უკვე აღარ არსებობს, რადგან მოკლა კიევმა. მისი თქმით, რუსეთი დაინტერესებული იყო მინსკის შეთანხმებების რეალიზებაში, რადგან ეს კომპრომისის შედეგია, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ არ შეასრულებდნენ მინსკის შეთანხმებებს. კრემლის ლიდერი ევროპას უმოქმედობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ვერ შეძლო კიევის იძულება, შეესრულებინა „მინსკი-2“, ამიტომ სხვა გამოსავალი გარდა ამ „რესპუბლიკების“ აღიარებისა, პუტინის შეფასებით, არ იყო.

რუსეთის ფედერაციის საბჭომ ქვეყნის პრეზიდენტს თანხმობა მისცა, გამოიყენოს რუსეთის შეიარაღებული ძალები ქვეყნის საზღვრებს გარეთ დონბასში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისი დადგენილება საბჭომ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო.

ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის** განცხადებით, რუსეთი ფარული დესტაბილიზებიდან ღია სამხედრო ქმედებებზე გადავიდა, რაც რუსეთის მხრიდან სერიოზული ესკალაცია და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. სტოლტენბერგმა რუსეთ-უკრაინის კრიზისს ევროპულ უსაფრთხოებაში ყველაზე საშიში მომენტი უწოდა თაობებისთვის.

„ნატო მიზანმიმართული და ერთიანია თავის გადაწყვეტილებაში, დაიცვას ყველა მოკავშირე. ბოლო კვირების განმავლობაში მოკავშირეებმა კიდევ ათასი სამხედრო მოსამსახურე გადაისროლეს ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში და კიდევ უფრო მეტი რეზერვშია. ჩვენ 100-ზე მეტი თვითმფრინავი გვყავს საბრძოლო მზადყოფნაში, მოკავშირეების 120-ზე მეტი ხომალდია ზღვაში უკიდურესი ჩრდილოეთიდან ხმელეთაშუა ზღვამდე. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ალიანსს რუსეთის აგრესიისგან დაიცავს“, — აღნიშნა **იენს სტოლტენბერგმა.**

დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღიარების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პაკეტი მიიღო. კერძოდ, რუსეთის დუმის 351 დეპუტატი, რომლებმაც ოკუპირებული დონბასისა და ლუგანსკის ე.წ. დამოუკიდებლობას მისცეს ხმა, ევროკავშირის შავ სიაში შეიყვანეს. ამ სიაში არ არის თავად ვლადიმერ პუტინი.

შავ სიაში მოხვდა 27 ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის ბანკები და ორგანიზაციები, რომლებიც უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ოპერაციებს აფინანსებენ. ასევე მიღებულია გადაწყვეტილება ევროკავშირის ფინანსური ბაზრისკენ რუსეთის წვდომის შეზღუდვის შესახებ. გარდა ამისა, დიდმა ბრიტანეთმა 5 რუსულ ბანკსა და ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ 3 ბიზნესმენს სანქციები დაუწესა, გერმანიამ კი გაზსადენი „Nord Stream 2“-ის სერტიფიცირება შეაჩერა.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი, ირაკლი გოგავა ამბობს, რომ ძალიან რთულია თანამედროვე პოლიტიკური ელიტების მოძმედების ალგორითმის განსაზღვრა იმის გამო, რომ ისინი წმინდა ეროვნული ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებენ, რაც თანამედროვეობის სამწუხარო რეალობაა, რომელიც ქვეყნების უმრავლესობას ეხება. რაც შეეხება დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარებას, როგორც გოგავა ამბობს, ეს საძართველოს უკვე გავლილი აძვს, არაფერი ახალი ამ კუთხით არ შემოგვთავაზა რუსეთმა, აპრობირებული სქემით მიდის.

„ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გადაწყვეტილება, რომელიც რუსული პოზიციიდან გამომდინარე, მათ შეიძლება მიეღოთ. ანუ, ვიცით, რომ იგივე გააკეთეს აფხაზეთის და ცხინვალის მიმართულებით. ამ პროცესებს ჩიხში შეჰყავს რეგიონის საერთაშორისო ურთიერთოებები, განვითარება და, რა თქმა უნდა, აზარალებს ადრესატ სახელმწიფოებს, უკრაინას და საქართველოს, ასევე აზარალებს თავად რუსეთს გრძელვადიან პრესპექტივაში. აქედან გამომდინარე, არ ვთვლი, რომ ეს არის რუსული ეროვნული ინტერესების გადაწყვეტილება. უფრო ელიტას დასჭირდა მსგავსი ნაბიჯის გადაგმა“, — აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

რაც შეეხება სანქციებს, რომელიც უკვე დაუწესეს რუსეთს, ირაკლი გოგავას განცხადებით, რუსეთს შერჩა საქართველოს წინააღმდეგ აგრესია, შესთავაზეს გადატვირთვის პოლიტიკა და შედეგად მიიღეს უკრაინა.

„თუ სანქციებზეა საუბარი, ქმედითი სანქცია რაც შეიძლება იყოს, ეს არის საბანკო ბლოკადა და ნავთობის ფასი. ჩვენ საპირისპიროს ვხედავთ. 22 წელია რუსეთს გარანტირებულად მაღალი ფასი აქვს ნავთობზე, დაახლოებით 40$ დაბლა არ ყოფილა. დღეს უკვე ნავთობის ფასი 974-ია. ის, რომ ინვესტიციას არ ჩადებენ დონბასში, ეს თითქოს ჟღერს, მაგრამ რეალურად, ინვესტიცია იქ არც იყო და, დიდი ალბათობით, არც იგეგმებოდა — ვგულისხმობ უცხოურ ინვესტიციას. გაზსადენს რაც შეეხება, სეზონი თითქმის მორჩა და „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის აქტუალურობა იმდენად არ დგას დღის წესრიგში. ორ კვირაში გათბობის სეზონი სრულდება ევროპაში და შემდეგ რაღაც ახალს მოიფიქრებენ“, — ამბობს პოლიტოლოგი.

აღიარების მიუხედავად, რთულია პროგნოზირება, როგორ განვითარდება პროცესები. მისი თქმით, თეორიაში შეიძლება გავთვალოთ ეროვნული ინტერესების შესაბამისად როგორ უნდა მოიქცეს რომელიმე ქვეყნის მმართველი ელიტა, მაგრამ მმართველი ელიტები ასპროცენტიანად ეროვნული ინტერესების შესაბამისად არ იქცევიან და ამიტომ ჭირს პროგნოზის გაკეთება.

„საერთოდ, უნდა ვიმსჯელოთ შედეგების მიხედვით. ამ ორომტრიალში რა შედეგიც არის — 2 დეკემბრიდან, მაშინ, როდესაც გამოქვეყნდა პირველი სტატია უკრაინაში რუსეთის სავარაუდო შეჭრის შესახებ, ნავთობის ფასმა დაიწყო ზრდა 69$-დან, დღეს უკვე 100$-ს უკაკუნებს და ალბათ, გადასცდება. მსოფლიომ მიიღო გაძვირებული ნავთობი. ეს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს და მათ შორის რუსეთს.

რაც შეეხება საომარი მოქმედების განახლებას, უკრაინელმა ნაციონალისტმა მწერალმა ანდრუხოვიჩმა ჯერ კიდევ 2010 წელს განაცხადა, რომ ჩვენ უნდა მოვკვეთოთ დონბასი და ყირიმი, ვინაიდან ეს ორი რეგიონი ხელს გვიშლის ევროპასთან ინტეგრაციაშიო - ეს განწყობა არსებობს უკრაინაში. ვერ ვიტყვი, რომ უმრავლესობას აქვს ეს განწყობა, მაგრამ ზელენსკის განცხადების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ დონეცკის და ლუგანსკის აღიარება შესაძლოა სულაც არ იყოს დღევანდელი მმართველი ელიტისთვის ურიგო გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან. თუმცა, რა თქმა უნდა, ამას ვერც ერთი პოლიტიკოსი ხმამაღლა ვერ იტყვის, ვინაიდან, ის მეორე დღეს პოლიტიკოსი აღარ იქნება. ამას ადასტურებს ზელენსკის განცხადება, რომ ის არ გასცემს რუსი სამხედროების წინააღმდეგ სროლის ბრძანებას, რაც ნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი გაიყინება ისე, როგორც აფხაზეთის თემა არის ჩამოკიდული ჰაერში“, — აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

* * *

ჯერჯერობით დასავლეთი — სანქციებზე, რუსეთი კი აღიარებაზე შეჩერდა. როგორ განვითარდება პროცესები, ამ ეტაპზე რთული სათქმელია, თუმცა ანალიტიკოსი **მამუკა არეშიძე** თვლის, რომ ამ სიტუაციაში სახის შენარჩუნება სჭირდება არა მხოლოდ მოსკოვს, არამედ ვაშინგტონსაც და ბრიუსელსაც. მისი თქმით, სამწუხაროდ, დასავლეთის პოზიცია, როგორც საქართველოს შემთხვევაში იყო, ახლაც საკმაოდ ბუნდოვანია.

„განსხვავება მაინცაა ჩვენს მოვლენებსა და დღევანდელ ვითარებას შორის ის, რომ ზელენსკიმ გაითვალისწინა ჩვენი დაშვებული შეცდომა და პროვოკაციას არ წამოეგო, ჯერჯერობით, ასეა — შეტევა არ წამოიწყო ლუგანსკსა და დონეცკზე. იცით, რომ ლუგანსკისა და დონეცკის ტერიტორიების მხოლოდ ნახევარს აკონტროლებენ სეპარატისტები, დანარჩენ ნახევარს ოფიციალური კიევი — დაახლოებით ისე, როგორც ცხინვალის შემთხვევაში და ნაწილობრივ, აფხაზეთის შემთხვევაში იყო“, — აცხადებს არეშიძე.

მისი თქმით, რუსეთს ძალიან უნდოდა ლოკალური ომი დონეცკისა და ლუგანსკის ტერიტორიაზე, რაც მას საშუალებას მისცემდა, უკეთეს შემთხვევაში, ქალაქი მარიოპოლი დაეკავებინა, რაც მას სტრატეგიული თვალსაზრისით სჭირდებოდა, მაგრამ უკრაინის დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ ნაბიჯის გადადგმის საშუალება, ჯერჯერობით არ მისცა. **„პრაქტიკულად, მოსკოვში მიაჩნიათ, რომ არა კრეფსითი დასავლეთის და ნატოს ხელმძღვანელების ხისტი პოზიცია, უკრაინა დათანხმდებოდა მინსკის ხელშეკრულების რეალიზაციას და არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ამას მოწმობს დიმიტრი მედვედევის განცხადებაც“,** — აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ რუსეთს სჭირდება ფორმალურად აღიარება, აღიარებას მოყვება ხელშეკრულების გაფორმება, როგორც ეს გაკეთდა აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში. მისი თქმით, ამ ხელშეკრულებაში ჩაიდება, რომ რუსეთი ეხმარება მათ თავდაცვითი ღონისძიების გამტკიცებაში, რასაც მოჰყვება სამხედრო ძალების შეყვანა.

„ახლა მთავარია, რას მოიმოქმედებს უკრაინა, თუ დაიწყეს ჯარების გადაადგილება, მაშინ დაიწყება სისხლისღვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადები გაიწელება. როგორც ჩანს, პუტინს იმედი აქვს, რომ როგორც კი ჯარებს შეიყვანს, ამას მოყვება შესაბამისი პასუხი უკრაინის მხრიდან. თანაც გაიჟღერა ფრაზამ: „ძველ საზღვრებში აღიარება“. ანუ, ეს ნიშნავს, რომ მარიოპოლში უნდა შეიყვანოს ჯარები, სადაც უკრაინის ჯარები დგას. ნებისმიერ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება სამხედრო კონფლიქტი. როგორც ჩანს, პუტინს აქვს რაღაც გათვლები, მაგრამ ძალიან ძნელია გაარკვიო რა ხდება მის ტვინში. ფაქტია, რომ შეტევაზე გადადის და ურჩევნია სისხლისღვრის გარეშე აიღოს ის, რისი აღება შემდეგ მოუწევს სისხლისღვრით“, — აღნიშნა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

მოამზადა
თამთა ძარჩავამ

სოსო ცინცაძე: პუტინი რომ გაიძახის, ნატო აღმოსავლეთით ფართოვდებაო, ნატო კი არ ფართოვდება, თვითონ აღმოსავლეთი მიდის ნატოსკენ

„ბაიდენმა რომ რუსეთის პირისპირ სისუსტე გამოავლინოს, ჩინეთის პრეზიდენტი ეგრევე ძალას გამოიყენებს ტაივანთან ურთიერთობაში, აქ დიდი პოლიტიკაა, გეოსტრატეგიული გათვლებია, ამიტომაც ბაიდენი თავს იკლავს უკრაინისთვის“, – აცხადებს for.ge-სთან საუბარში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

– ჯო ბაიდენი იმდენს ლაპარაკობს უკრაინაში რუსეთის უპირობო შეჭრის თაობაზე, რომ შთაბეჭდილებას ტოვებს, რუსეთმა საწინააღმდეგოს გაკეთების პრინციპით, უარი თქვას შეჭრაზე და უკურეაქცია გამოიწვიოს. მართლაც, პუტინი დიდ ჰუმანისტად რომ იქცეს, არ შეიჭრას უკრაინაში, ეს ხომ დაამტკიცებს, რომ ბაიდენის ინფორმატორები სანდონი არ ყოფილან? თუ – მგელი-მგელის“ ძახილმა შეიძლება შეაჩეროს „მგელი“?

– პუტინი თუ გადაიფიქრებს უკრაინაში შეჭრას, მაშინ ბაიდენი იტყვის, მგელი იმიტომ არ მოვიდა, რომ ჩემი შეეშინდა და მე უკრაინა გადავარჩინეო. ამიტომაცაა, ვინც ყურადღებით წაიკითხა რუსეთის პასუხი, იქ წერია, რომ სამხედრო ტექნიკური პასუხიც ექნება დასავლეთს, რადგან რუსეთისთვის პრინციპულია, საქართველო და უკრაინა არასოდეს გახდნენ ნატოს წევრები, მაგრამ შემდეგ უკვე ამ ყველაფერს მოსდევს მოლაპარაკების სცენარი, ე.ი. რუსეთმა უკვე დაიწყო ვაჭრობა. დეტალებშია ეშმაკი ჩამალული. სეპარატისტებმა ლუგანსკში თითქოს აღმოაჩინეს მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი საფლავები, რუსეთმა მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭო, იქ ჩავიდა ლავროვის მოადგილე და უკვე გენოციდში ბრალს სდებენ უკრაინელებს, ეს უკვე საბაბია და შეიძლება კაზუს ბელად (ომამდე მიყვანა) გამოადგეს რუსეთს.

– შემოჭრა საქართველოში, შეჭრა ჩეჩნეთში... ეს სცენარები მთელმა მსოფლიომ ზეპირად იცის, შეჭრის საბაბის იმპერიალისტური ზრახვები აპრობირებულია, შეჭრის ტაქტიკის შეცვლა არ არის რუსეთის ინტერესში?

– ასეთი რაღაცები ადრეც ყოფილა. საერთაშორისო ურთიერთობებში ცნობილია გლაივიცის რადიოსადგური, როდესაც ჰიტლერმა პოლონეთის რადიოსადგურზე პოლონურ ფორმაში გადაცმულ გერმანელ ჯარისკაცებზე თავდასხმის ინსცენირება მოაწყო და პოლონეთში შეჭრის საბაბად გამოიყენა ეს სიმულაცია, მერე ნიურნბერგის პროცესზე გაირკვა ეს ყველაფერი. რუსეთმა ახლაც გენოციდის თემა ააგორა.

– რუსეთი ბევრ სცენარს ამუშავებს უკრაინის მიმართ, მაგრამ ზელენსკი ბევრ ადამიანში იწვევს პატივისცემას. წესით, მსახიობი კაცი სეპტიციზმს აღძრავდა ბევრ ადამიანში, მაგრამ ზელენსკი არ წამოეგო რუსულ სატყუარას. ჯერჯერობით უკრაინის პრეზიდენტი კარგად ართმევს თავს მოვალეობას?

– ჯერჯერობით ზელენსკი მტკიცედ დგას. 2015 წელს პოროშენკომ ხელი მოაწერა მინსკის ხელშეკრულებებს, რომელიც დღეს კოზირად იქცა პუტინს, მაგრამ ზელენსკი საერთოდ უარყოფს ამას. თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მაშინ მინსკის ხელშეკრულებები ავტომატურად უქმდება. ამიტომ შეჭრის ალბათობა 50/50-ზეა.

– რუსეთი გაფრთხილებულია, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, ნატოს მოუწევს აღმოსავლეთის ფლანგზე გაძლიერება. ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა, პუტინი უნდა დარწმუნებულიყო 2014 წელსაც, როცა შეიჭრა უკრაინაში და ყირიმი, დონბასი აიღო, საპასუხოდ, ნატოს მოუწია საკუთარი თავის გაძლიერება აღმოსავლეთის ფლანგზე. დღეს ჯო ბაიდენის მუქარა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ შეუწყდება რუსეთს, რამეს ნიშნავს რუსეთისთვის?

– ბოდიში და, პუტინს ფეხებზე ჰკიდია, რუსი ხალხი კიდევ უფრო დაიმშევა, თუ ნაკლებად დაიმშევა. პუტინისთვის ეს პრობლემა არ არსებობს, ასევე, ბაიდენისთვის, რომელსაც ახლა ნოემბერში შუალედური არჩევნები აქვს. პუტინი ადგება და იტყვის, მორჩა, არჩევნების გარეშე 2024 წელს მე კიდევ ვრჩები პრეზიდენტად გაურკვეველი ვადით, ან გამოჩნდება მეორე ვალენტინა ტერეშკოვა და იტყვის, გავუნულოთ ყველა წინა არჩევნები პუტინს... რაც რუსეთში ხდება, ევროპასა და ამერიკაში საერთოდ წარმოუდგენელია, რომ ადგეს ბაიდენის მომხრე რომელიმე სენატორი და თქვას, მოდით, არჩევნები ნულარ იქნება და ბაიდენმა მართოს ამერიკა კიდევ ათი წლითო!

– მაგრამ რას ნიშნავს რუსი გენერლების მოწოდება პუტინისადმი, შეწყვიტოს რუს ჯარისკაცთა სასაკლაო და გადადგეს?

– ეს ლეონიდ ივაშოვის ორგანიზაციაა, ეს ერთი სეგმენტია მხოლოდ, პენსიონერები არიან ეგენი ძირითადად, მოქმედი გენერალიტეტი, მოქმედი არმიები სხვა არის, ივაშოვი 82 წლისაა, მაგას უკვე გავლენა არ აქვს, პუტინმა კომენტარიც არ გააკეთა ამაზე.

– გერმანიაში ანგელა მერკელი აღარ არის კანცლერად, მაგრამ ოლაფ შოლციც ფრთხილობს. ფიქრობთ, გერმანელები ვერ გაუგებენ ოლაფ შოლცს, რუსეთის მიმართ უფრო კრიტიკული რომ იყოს? გაზის იმპორტის 55%-ია ამის მიზეზი, რომლითაც რუსები გერმანელებს აშანტაჟებენ?

– გერმანელები ვერ გაუგებენ ვერავის, თუ ესენი ამ ზამთარში გაიყინნენ. არავის არ უნდა, თვითონ რაღაც დაიკლოს და ისე დაეხმაროს სხვას. ამერიკა რომ იარაღს აწვდის უკრაინას, 5 თუ 6 თვითმფრინავი გაგზავნა, ამას ამერიკელი მოქალაქე საერთოდ ვერ გრძნობს ვერაფერზე, ვერც თავის ჯიბეზე, ვერც ხელფასზე, მაგრამ გერმანელები ფრთხილობენ ცივ ზამთარში.

– მერკელმა დაუშვა უდიდესი სტრატეგიული შეცდომა, როდესაც მის დროს არ მოხერხდა ბუნებრივი აირის დივერსიფიცირება და გაზის მარაგის დიდი საცავი რუსეთს მიჰყიდა. ოლაფ შოლცი თუ აპირებს შეცვალოს ეს პოლიტიკა, რომ გერმანია რუსეთის მძევალი აღარ იყოს?

– რასაკვირველია, შოლციც ფრთხილობს, ზუსტად რამდენია გერმანიისთვის მიწოდებული რუსული გაზი, არავინ იცის, 20%-დან 40%-მდე ამბობენ, ეს 40%-იც ძალიან დიდი ციფრია, ჩანაცვლებაც ასე უცებ არ ხდება. კი, ბაიდენმა კატარის ემირი დაიბარა ვაშინგტონში და პირობა დაადებინა, კატარის ემირმაც თქვა, კი ბატონო, მე მივცემ, რაც მაქვს, იმდენ გაზს გერმანიას, მაგრამ რაც არ მაქვს და არ მეყოფა, მაშინ იაპონიამ თანხმობა მოგვცეს, რომ იაპონიისთვის რაც უნდა მიმეცა ხელშეკრულებით გაზი, ის გაზი წავიდეს გერმანიაში. ამას იაპონია არ დათანხმდება, არც არავინ დათანხმდება. ყოველ შემთხვევაში, წინა პერიოდთან შედარებით ევროპა გაცილებით ერთიანია და გაცილებით მტკიცედ აღუდგა რუსეთს, თუმცა ამას სხვა მიზეზი აქვს. ბაიდენი რატომაა ასეთ მყარ პოზიციაზე? ლამის თავს იკლავს უკრაინისთვის, სინამდვილეში, ბაიდენისთვის უკრაინაზე უფრო მნიშვნელოვანია ტაივანი, ჩინეთი. ამიტომ ბაიდენმა რომ რუსეთის პირისპირ სისუსტე გამოავლინოს, ჩინეთის პრეზიდენტი სი ძიაპინი ეგრევე ძალას გამოიყენებს ტაივანთან ურთიერთობაში და ეს უკვე სულ სხვა ფასეულობაა. ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შემდეგ ბაიდენი დედას იფიცებოდა, რომ არ განმეორდებოდა, როგორც საბჭოთა კავშირი გამოიქცა ავღანეთიდან, ამერიკელები ისე არასოდეს არ გამოვიდოდნენ და ვიეტნამივით გამოსვლა არ მოხდებოდა, მაგრამ განმეორდა. თანაც, როგორც გითხარით, ნოემბერში შუალედური არჩევნებია და ამერიკელ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა ღიად აცხადებს, რომ ორივე პალატას დაკარგავს ბაიდენი – სენატსაც და წარმომადგენელთა პალატასაც. ჩინეთიც ახლა უყურებს, როგორ მოიქცევა ამერიკა. თუ ამერიკა რაღაცას დაუთმობს რუსეთს და სისუსტეს გამოავლენს, სი ძიაპინი მაშინვე თავს დაესხმება ტაივანს. ეს ყველაფერი გადაბმულადაა ერთმანეთთან, აქ დიდი პოლიტიკაა, გეოსტრატეგიული დიდი გათვლებია, ტაივანი, ასე თუ ისე, ამერიკის მოკავშირეა. 49 წელს ჩან კაიშს ამერიკასთან კავშირი ჰქონდა, ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, ამერიკა მას უნდა დახმარებოდა, არ დაეხმარა, მერე კუნძულზე გაიქცა ჩან კაიში, ამის შემდეგ ამერიკა უკვე ეხმარებოდა, მით უმეტეს, როდესაც დალესი იყო სახელმწიფო მდივანი, მაშინ ტაივანს ბუზს ვერავინ აუფრენდა. ამიტომ დღეს ბაიდენს სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ბოლომდე მტკიცედ იდგეს.

– გამოდის, რომ ტრამპი, რომელიც ყველას ეგონა რუსეთის კაცი, უფრო მედგრად იდგა პუტინის პირისპირ, ვიდრე ბაიდენი? ტრამპმა თავის დროზე გერმანიას რუსეთის მძევალი უწოდა, მერკელს თეთრი დროშაც კი გადასცა და ამცნო, რუსეთს ჩაბარდებით მაშინ, როცა რუსეთთან გაზსადენის შეთანხმება დასრულდებაო.

– მართალია, ტრამპი გამოვიდა იმ ხელშეკრულებებიდან, რომლებიც „დემოკრატებს“ ჰქონდათ დადებული, გამოვიდა ბაიდენის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებიდან, ირანის ხელშეკრულებებიდანაც გამოვიდა, მაგრამ ის, რომ ტრამპი ანტირუსული ძალა იყო, ამის თქმა ძალიან ძნელია. ბაიდენის მსგავსად, ტრამპისთვის მთავარი საფრთხე იყო ჩინეთი. გავიხსენოთ, რაც მოხდა შარშან გაზაფხულზე ჟენევის შეხვედრაზე, ბაიდენმა დაივიწყა, რომ მკვლელი უძახა პუტინს, მშვენივრად შეხვდა მას და დათმობებზეც წავიდა, რადგან უნდოდა, ჩინეთისკენ მთელი ძალა გადაესროლა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. რუსეთი ასეთია. ახლა უკრაინაში პრორუსული ძალების განწყობაზე საუბრობენ, უკრაინა რად გვინდა, საქართველოშიც არიან პრორუსული ძალები. ცხადია, უკრაინაშიც არიან ასეთნი, მაგალითად, მედვედჩუკის პარტია „ცხოვრებისათვის“, მაგრამ მთლიანობაში უკრაინაში ჯერჯერობით პოლიტიკურ ამინდს ქმნის დასავლეთ უკრაინა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა არ ჰქონია პირველ მსოფლიო ომამდე, შესაბამისად, რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნა ზელენსკის არ უნდა, არც არავის არ უნდა.

პუტინი რომ გაიძახის, ნატო აღმოსავლეთით ფართოვდებაო, ნატო კი არ ფართოვდება, თვითონ აღმოსავლეთი მიდის ნატოსკენ. ნატო ძალით ეძაჩებოდა ვინმეს? პირიქით, ყველას უნდოდა ნატოში შესვლა და ნატო არჩევანს აკეთებდა, ბარიერებს უქმნიდა და ეუბნებოდა მსურველებს, ეს უნდა შეასრულო, ის უნდა შეასრულო, სანამ მიგიღებთო. ჯერ კიდევ ცხონებული ბზეჟინსკი წერდა, რუსეთის იმპერია, რომლის აღდგენასაც პუტინი ცდილობს, შესაძლებელია მხოლოდ უკრაინასთან ერთად, უკრაინის გარეშე ვერავითარი რუსეთის იმპერია ვერ იარსებებსო. ეს მართლაც ასეა, ამიტომაა პუტინის დაჟინება ასეთი უკრაინასთან მიმართებით. ჯერჯერობით ისეა ვითარება, რომ პოროშენკოსთან შეთანხმების შედეგად ძალიან ბევრი ბერკეტი აღმოჩნდა პუტინის ხელში. ამის გამო ზელენსკის შეიძლება კომპრომისზე წასვლა აიძულონ. ბოლოს და ბოლოს, უკრაინის გულისთვის ომი არავის არ უნდა, არავინ არ იომებს მათ გამო.

– რა უკუპროცესები ელის რუსეთს, ლუგანსკის და დონეცკის თვითნებურად აღიარების შემდეგ?

– ლუგანსკის და დონეცკის აღიარებას შეიძლება მოჰყვეს შვედეთის და ფინეთის ნატოში შესვლა, ამიტომ ლუგანსკის და დონეცკის აღიარებაც არ არის მარტივი.

მანანა ნოზაძე

კელი დეგნანი:

ახლა, როგორც არასდროს, აშშ დადგება ქართველი ხალხის გვერდით!

„სულ მალე დავასრულებ წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების კვირას ვაშინგტონში და მოუთმენლად ველოდები კვირის ბოლოს თბილისში დაბრუნებას. ვაშინგტონში ყოფნისას შევხვდი კოლეგებს სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში ეროვნული უშიშროების საბჭოსა და კონგრესში. გვქონდა შესანიშნავი შეხვედრა ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოსთან, ასევე სხვა უწყებებთან, საქართველოსთან ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების განსახილველად. ცხადია, ბევრ საკითხს შევეხეთ, დროც განსაკუთრებით კარგი იყო შერჩეული რეგიონში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. მსურს, გაგიზიაროთ ვაშინგტონში მიღებული ინფორმაცია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ქმედებებით გამოწვეული უსაფრთხოების მიმდინარე კრიზისის თაობაზე. პრეზიდენტი ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი ბლინკენი, თავდაცვის დეპარტამენტის მდივანი და ყველა მათი თანამშრომელი, მუშაობს მშვიდობიანი და დიპლომატიური გადაწყვეტის გზებზე. ეს რჩება შეერთებული შტატების მთავარ პრიორიტეტად.

ამავდროულად, ჩვენ ვაცნობიერებთ უარესისთვის მომზადების აუცილებლობას, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ. სწორედ ამიტომ, ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან შეთანხმებით დავიწყეთ უწყვეტი დიპლომატია ევროკავშირში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს საქართველოს მთავრობასთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობას, სხვადასხვა არხების მეშვეობით ინფორმაციის გაზიარებას, რასაც გავაგრძელებ თბილისში დაბრუნების შემდეგ და რასაც ვაკეთებდი ვაშინგტონში გამგზავრებამდე.

ქართველებმა, უკრაინელების მსგავსად, აირჩიეს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზა. შეერთებული შტატები არის ქართველი ხალხისა და თქვენი ევროატლანტიკური მისწრაფებების მტკიცე ორპარტიული მხარდამჭერი, რომელიც ეფუძნება საერთო დემოკრატიულ ღირებულებებს: თავისუფლებისა და დამოკიდებლობის სიყვარულს.

ამ კვირის განმავლობაში გამართულ შეხვედრებზე შეერთებულმა შტატებმა მტკიცედ და მკაფიოდ წარმოაჩინა ამ გზაზე საქართველოს დახმარების მიმართ ერთგულება. ჩვენ 30 წელია, ამაზე ვმუშაობთ. ახლა, როგორც არასდროს შეერთებული შტატები დადგება საქართველოს ხალხის გვერდით, მხარს დაუჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთად იმუშავებს იმ მომავლისთვის, რაც ქართველებს სურთ და რასაც იმსახურებენ – სტაბილური, უსაფრთხო აყვავებული საქართველო, რომელიც სრულად იქნება ინტეგრირებული ევროატლანტიკურ ერთა ოჯახში“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

„ხოჯალის გენოციდი, რომელიც მთელი აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგაა მიმართული, გახლავთ კაცობრიობის ისტორიაში ბარბაროსული ქმედების გამოვლინება; იგი წარმოუდგენელი სისასტიკითა და სასჯელის არაადამიანური მეთოდებით ხასიათდება. ეს გენოციდი ასევე მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ისტორიული დანაშაულია.“

ჰეიდარ ალიევი

„ხოჯალის ტრაგედია იყო სისხლიანი ფურცელი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკისა, რომელსაც სომეხი ნაციონალისტები საუკუნეების განმავლობაში ახორციელებდნენ თურქი და აზერბაიჯანელი ხალხების წინააღმდეგ.“

ილჰამ ალიევი

აზერბაიჯანის პრეზიდენტი

ხოჯალის გენოციდი – XX საუკუნის ტრაგედია

იმ საშინელი ამბიდან 30 წელი გავიდა

პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხოჯალის გენოციდთან დაკავშირებით აზერბაიჯანელი ხალხისადმი მიმართვაში ნათქვამია: **„ხოჯალის გენოციდის განხორციელებაში მტრის მიზანი იყო აზერბაიჯანელი ხალხის გატეხა, მისი სუვერენიტეტისა და მიწა-წყლის მთლიანობისთვის ბრძოლის შეკავება და ჩვენი მიწების ძალით ხელში ჩაგდება, თუმცა ამ მძიმე ტრაგედიამ ჩვენი ხალხი უფრო გააძლიერა, ჩვენი გმირი გოგო-ბიჭები სამშობლოსა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის მტკიცე და ორგანიზებული ბრძოლისთვის გააერთიანა.“**

სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ ხოჯალის გენოციდის ჩამდენი პირები ადრე თუ გვიან მართლმსაჯულების წინაშე პასუხს აგებენ და საკადრის სასჯელს მიიღებენ, შეხიდების დაღვრილი უმანკო სისხლი მათ არ შერჩებათ. ამ საშინელი ტრაგედიის წლისთავს ყოველწლიურად ჩვენს რესპუბლიკაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გულისტკივილით აღნიშნავენ. ტრაგედიის შესახებ სიმართლის მსოფლიო საზოგადოებისთვის მიწოდებაში ჰეიდარ ალიევის ფონდს, განსაკუთრებით ფონდის პრეზიდენტ მეჰრიბან ალიევას დიდი წვლილი მიუძღვის. ფონდის ვიცე-პრეზიდენტის ლეილა ალიევას თაოსნობით „სამართალი ხოჯალის!“ კამპანიის ფარგლებშიც ყოველწლიურად მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება. გატარებული თანმიმდევრული და კომპლექსური ზომების ლოგიკური შედეგია, რომ ტყუილსა და სიყალბეზე აგებული პროპაგანდისტული მანქანის ნამდვილი სახე გამოაშკარავდა. ფაქტი, რომ ხოჯალის ტრაგედია გენოციდი იყო, ეს აისახება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში.

200 წლის მანძილზე აზერბაიჯანელი ხალხი სომეხი ნაციონალისტ-შოვინისტების უწყვეტ ეთნიკურ წმენდას გენოციდის პოლიტიკას წააწყდა. აზერბაიჯანელი ხალხი საკუთარი ისტორიული მიწებიდან განდევნეს, დევნილებად, იძულებით გადაადგილებულებად აქციეს და ამ ყველაფერს სომხების მიერ მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ახლდა თან.

აზერბაიჯანელების საკუთარი ისტორიულ-ეთნიკური მიწებიდან განდევნა საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. 1948-1953 წლებში სომხეთიდან 150 ათასი აზერბაიჯანელი გამოასახლეს და აზერბაიჯანში მტკვარ-არაქსის ვაკეში ჩაასახლეს.

1988 წელს საკუთარ ისტორიულ მიწებზე მცხოვრები 250 000 აზერბაიჯანელი განდევნეს, რის შედეგადაც სომხეთი მონოეთნიკურ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1988 წლიდან მთიანი ყარაბაღის

გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, სომეხი იდეოლოგების სულელური იდეის – „სომხეთი ზღვიდან ზღვამდე“ – განხორციელების ცდილობას გამოიწვია სოფლების და ქალაქების მიწის პირიდან აღგვა, ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი და ასობით ათასი აზერბაიჯანელის განდევნა ისტორიული მიწებიდან.

მეოცე საუკუნის ბოლოს მომხდარი ეს ტრაგედია არა მხოლოდ აზერბაიჯანელი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია. ხოჯალის გენოციდი უთანაბრდება საუკუნის ისეთ საშინელ ტრაგედიებს, როგორიცაა ხატინი, ჰიროსიმა, ნაგასაკი და სონგმი.

სომხები ქალაქ ხოჯალის მიზანში ამოღებით რა მიზანს ისახავდნენ? ეს ერთი მხრივ ყარაბაღის მთიან ნაწილში აზერბაიჯანელებისგან შემდგარი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დაბრკოლების მოხსნა, მეორე მხრივ, ხოჯალის ერთხელ და სამუდამოდ მიწის პირისგან აღგვა იყო. რადგანაც ხოჯალი ისეთი დასახლებული ადგილი იყო, რომ იგი უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე აზერბაიჯანის ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს ასახავდა.

ხოჯალის ტრაგედია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე საზარელი დანაშაულია მსოფლიო ისტორიაში, იგი სამუდამოდ აღიბეჭდება ადამიანთა მეხსიერებაში, როგორც ყველა დროის ყველაზე სისხლიანი ფურცელი. დაუნდობლად ამოჟლეტილი მშვიდობიანი აზერბაიჯანელების რაოდენობასთან ერთად, ჩვენ ვსაუბრობთ უდანაშაულო ადამიანების წამების უკიდურესი სიმხეცით დაღდასმულ ფაქტებზე, **ადამიანის ტრაგედიაზე**, რომლსაც თავისი სისასტიკით **ხატინის, ლიდიზასა** და **ორადურის** გენოციდებიც კი ვერ შეედრება.

1992 წლის 26 თებერვალს სომეხთა შეიარაღებულმა ძალებმა ყოფილი სსრკ-ის ხანქანდში მდებარე 366-ე მოტომსროლელთა დივიზიის მონაწილეობით აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ უანალოგო ხოჯალის გენოციდი განახორციელეს. ქალაქ ხოჯალის მოსახლეობა დაარბიეს, ასობით კაცი, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები, მხეცურად აწამეს და დახოცეს, ტყვეებად აიყვანეს, ქალაქი მიწის პირისაგან აღგავეს. ხოჯალის ოკუპაციის დროს მოსახლეობას ქალაქიდან გასასვლელად დერეფანი არ დაუტოვეს, უმოწყალოდ ამოხოცეს ყოველი სულიერი. ამ საშინელი მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტელერეპორტიორის მიერ გადაღებულმა საშინელმა კადრებმა მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. ათობით მოხუცის, ბავშვის და ქალის გვამი გატყავებული იყო, სახეები ტყვიებით და ავტომატისა კონდახებით დაჩეხილი ჰქონდათ. ამ არაადამიანურმა მოქმედებებმა სომეხი ნაციონალისტების ნამდვილი სახე წარმოაჩინა.

ხოჯალის მოსახლეობის 613 კაცი მოკლეს, 487 კაცი დაასახიჩრეს. 1275 კაცი – მოხუცი, ქალი და ბავშვი კი ტყვედ აიყვანეს და საშინელი ტანჯვა-წამების მსხვერპლად აქციეს. 150 კაცის ბედი კი დღემდე გაურკვეველია, ისინი უგზოუკვლოდ არიან დაკარგული. ხოჯალიში ამოხოცილი 613 კაციდან 106 ქალი, 63 ბავშვი და 70 მოხუცი იყო. ამ გენოციდის დროს 8 ოჯახი მთლიანად ამოწყდა. 24-მა ბავშვმა – მშობლები, 130-მა კი მშობელთაგან ერთი დაკარგა.

ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც 28 თებერვალს და 1 მარტს შემთხვევის ადგილზე ვერტმფრენით ჩავიდნენ, საზარელი სცენის მოწმენი გახდნენ. ვანდალებს გვამებისათვის ყურები და კიდურები დაეჭრათ, ზოგი მათგანისთვის კი შინაგანი ორგანოები და თვალები ამოეკვეთათ. გამოვლინდა მრავალი სულისშემძვრელი ფაქტი. კერძოდ ის, რომ დახოცილებს აღენიშნებოდათ დანისა და ტყვიის უამრავი ჭრილობა, დადასტურდა, რომ მძიმე ტექნიკით ამოჟლიტეს და ცოცხლად დაწვეს მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ტყვედ ჩავარდნილ 4 მესხ თურქსა და 3 აზერბაიჯანელს თავები მოჰკვეთეს და თვალები დასთხარეს 2 აზერბაიჯანელს. აღნიშნული ბარბარო-

სული ინციდენტის გამოძიების დროს გაირკვა, რომ ტყვედ ჩავარდნილ ორსულ ქალებს ჯარისკაცის დანით მუცლები დაუფატრეს...

თომას დე ვალის წიგნიდან „შავი ბაღი“

1992 წლის პირველი იანვრიდან სომხებმა სტეფანაკერტის ფარგლებს გარეთ დაიწყეს შეიარაღებული თავდასხმების მოწყობა. მათ ქალაქის მიმდებარე აზერბაიჯანული სოფლები დაიკავეს და იქ დარჩენილი ასობით აზერბაიჯანელი გაყარეს. ამის შემდეგ სომხების მთავარ მიზნად იქცა ხოჯალი – ქალაქი, რომელიც სტეფანაკერტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 9 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სწორედ აქ იყო რეგიონის ერთადერთი აეროპორტი.

ოდესღაც ხოჯალიში მასობრივად ჩაასახლეს აზერბაიჯანელები. 1991 წელს ამ ქალაქში 6300 ადამიანი ცხოვრობდა.

1991 წლის ოქტომბერში სომეხმა ნაციონალისტებმა ხოჯალისა და აგდამის დამაკავშირებელი გზა გადაკეტეს და ხოჯალიში ჩასვლა მხოლოდ ვერტმფრენით იყო შესაძლებელი – აგდამიდან ხანმოკლე გამოფრენით და შემდეგ მკვეთრი, სპირალისებური დაშვებით. 1992 წლის იანვარში ამ რთული მარშრუტით ხოჯალიში ჩასულ ამერიკელ რეპორტიორს თომას ჰოლცს გაყინული და დაუცველი ქალაქი დახვდა.

„ხოჯალიში ტელეფონები არ მუშაობდა. საერთოდ არაფერი მუშაობდა. არც ელექტროენერგია იყო, არც გათბობა, და არც ონკანიდან მოდიოდა წყალი, – წერდა ჰოლცი, – გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი საშუალება ვერტმფრენი იყო, მაგრამ თითოეულ რეისს დიდი საფრთხე ახლდა“. 1992 წლის 13 თებერვალს, როდესაც ხოჯალიში ვერტმფრენის უკანასკნელი რეისი შესრულდა, ქალაქიდან, ალბათ, 300-ზე ნაკლები ადამიანი იყო ევაკუირებული, არადა ადგილზე 3000 მოსახლე რჩებოდა..“.

ცნობისთვის, 1994 წელს აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის, ჰეიდარ ალიევის თაოსნობით გამოქვეყნდა სპეციალური ბრძანება, რომლის მიხედვით 26 თებერვალი **„ხოჯალის გენოციდის და ეროვნული გლოვის დღედ“** გამოცხადდა. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი ტრაგედიის მიზეზები და დამნაშავეები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 25 თებერვალი საქართველოში აღინიშნება, როგორც საბჭოთა ოკუპაციის დღე. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია და განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. ამ თარიღს საქართველო ყოველწლიურად აღნიშნავს 2011 წლიდან. ალბათ სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ორივე ქვეყანა საქართველოც და აზერბაიჯანიც დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდენ და აგრესორი ქვეყნები ცდილობდნენ ამ მისწრაფების ჩახშობას. შემდგომმა მოვლენებმა მსოფლიოს ნათლად დაანახა, რომ არც საქართველო და არც აზერბაიჯანი არ შეურიგდებოდნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას. ორივე ქვეყანამ გააგრძელა ბრძოლა და დღეისათვის ისინი დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნების იმ რიგში დგანან, რომლებიც მტკიცედ იცავენ თავიანთი ქვეყნების სუვერენიტეტსა და მიწა-წყლის მთლიანობას.

დავიწყოთ იქიდან,რომ სეპარატისტებისა და სომეხი ბოევიკების მხეცობა სოხუმის აღებისას 1993 წლის სექტემბერში არ იყო შემთხვევითი. იგი გულდასმით იყო გააზრებული და დაგეგმილი.

ხოცვა-ჟლეტის მოთავეებს სოხუმში სჭირდებოდათ სისხლიანი ფაქტი აფხაზებისთვის, რათა აფხაზებს შემდგომ პანიკურად შეშინებოდათ საკუთარი ქართველი ძმების დაბრუნება შურისძიების მიზნით, თანაც ამ საფრთხეს ყველანაირად აღვივებდა იმდროინდელი პროპაგანდა. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ იღწვის აფხაზეთთან მშვიდობიან გაერთიანებაზე, აფხაზეთის მოსახლეობას თავის მოქალაქეებად თვლის და თანაც უფასო სამედიცინო დახმარებას უწევს მათ, ასე რომ, არ ეკითხება ეთნიკურ წარმომავლობას და იმასაც, თუ ვის მხარეზე ომობდა რომელიმე კონკრეტული ადამიანი 1992-1993 წწ.

ქართველთა გენოციდის „გენერალური რეპეტიცია“ სოხუმში მოხდა წელიწადნახევრის წინ აფხაზეთიდან შორს მდებარე ყარაბაღის ქალაქ ხოჯალიში.

ისტორია გვიჩვენებს: სხვის უბედურებაზე არც ერთ ერს არ გამოუვიდა ბედნიერების აგება. ყარაბაღისა და აფხაზეთის მიწები, საბოლოოდ, გახდება წყევლა იმ ჯალათებისა და მათი ახლობლებისთვის, თუ კი ისინი არ მოინანიებენ და არ დააბრუნებენ მშობლიურ ადგილებში ლტოლვილებს და თუ არ იტყვიან უარს ეთნიკური ნაციონალიზმის იდეოლოგიაზე.

გენოციდს **613 ადამიანი** შეეწირა. მათგან **63 – ბავშვი, 106 – ქალი, 70 – მოხუცია; 8 ოჯახი** მთლიანად იქნა განადგურებული; **25 ბავშვმა** – ორივე მშობელი, **130 – ბავშვმა** კი ერთი მშობელი დაკარგა; დაშავდა **487 ადამიანი,** მათ შორის **76 – ბავშვი**; **1275 ადამიანი** ტყვედ ჩავარდა; **150 კაცი** კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება: მთლიანად განადგურებულ იქნა **1** ქალაქი, **1** დასახლება, **8** სოფელი, **2495** სახლი, **31** სამრეწველო ობიექტი, **15** სასოფლო-სამეურნეო პუნქტი, **20** საგანმანათლებლო, **14** ჯანდაცვის დაწესებულება, **56** კულტურული, **5** საკომუნიკაციო ობიექტი ...

დიასპორის ტელევიზიის გამოძიებით დადგინდა, რომ გენოციდის შედეგად მშობლები დაკარგეს. 10 ბავშვი მხატვარმა რაფიგ აზიზმა თურქეთში წაიყვანა. მათი სწავლისა და ცხოვრების ყველა ხარჯი თურქეთში გადაიხადა „ისტეკის“ (სურვილი) ფონდის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ბადრადინ დალანმა.

ხოჯალელი ბავშვების ნაწილი, რომლებმაც განათლება დაასრულეს, აზერბაიჯანში დაბრუნდნენ, უმეტესობა კი თურქეთში დარჩა. რამილ მამედოვმა, ამ სტრიქონების ავტორმა, რომელიც სტამბოლში დასთან ერთად სასწავლებლად წავიდა და ახლა კომპიუტერის ინჟინრად მუშაობს, 30 წლის წინ მომხდარი სისხლიანი მოვლენები გაიხსენა. ბავშვებს საინტერესო შეხვედრები ჰქონდათ ეროვნულ ლიდერ ჰეიდარ ალიევთან თურქეთში.

რამილ მამედოვი,
ხოჯალის ტრაგედიის მსხვერპლი

ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი სამჯერ გაიზარდა!

მსოფლიოში სურსათის მარაგის მხრივ მოლოდინები მკვეთრად ნეგატიურია. დიდი ალბათობით, პანდემია გლობალური წარმოების მასშტაბს საგრძნობლად შეამცირებს. მოსალოდნელ საფრთხეზე ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად საუბრობს, მათ შორის, გაერო. ცხადია, ზომების მიღება მოუწევს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, სადაც, სპეციალისტების განმარტებით, განსაკუთრებული ყურადღება სტრატეგიულ მარაგებზე უნდა გაკეთდეს.

აგრარული სფეროს სპეციალისტი **ბადრი რამიშვილი** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ზომები გასაძლიერებელია, რადგან სტრატეგიული მარაგების სიმცირე ქვეყანაში შიმშილობას გამოიწვევს.

„ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა სტრატეგიული პროდუქტების მარაგის მხრივ ქვეყანაში პრობლემა არ გაჩნდეს. ჯერჯერობით სტაბილური მდგომარეობა გვაქვს და ეს მოცემულობა მომდევნო წლების განმავლობაშიც უნდა შევინარჩუნოთ. ზომებს თუ არ გავაძლიერებთ, საქართველოში შიმშილი გარდაუვალია. პანდემიამ ისე შეცვალა მსოფლიო, რომ არავინ იცის, როდის რა შეიძლება მოხდეს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მსოფლიოში ვითარება გართულდეს. ამიტომ სწორედ სტრატეგიული პროდუქტების წარმოების ზრდაზე უნდა ვიფიქროთ, პირველ რიგში, ხორბლით მომარაგების საკითხია გადასაწყვეტი. დიდწილად რუსეთზე ვართ დამოკიდებული, რომელიც მუდმივად ძვირდება, ამიტომ დროულად არის პრევენციის ზომები მისაღები“, – აცხადებს **რამიშვილი.**

კიდევ ერთი საკითხი, რაც სურსათის უსაფრთხოებას უკავშირდება, კვების რეჟიმი და სასურსათო პროდუქტის კალორიულობაა, რაც დეფიციტზე არანაკლები პრობლემაა.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი **კობა კობალაძე** ფიქრობს, რომ ტექნოლოგიების განვითარება პირველი ნაბიჯია, რითაც საქართველომ პრობლემის მოგვარება უნდა დაიწყოს.

„ჩვენ ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ გამოკვებოს საკუთარი მოსახლეობა და იმპორტზე მინიმალურად იყოს დამოკიდებული. განსაკუთრებული ყურადღება მიწას და წყალს უნდა მიექცეს, რასაც ტექნოლოგიური განვითარების გარეშე ვერ მივაღწევთ. ჩემი აზრით, უნდა დავიწყოთ მიწების დამცავი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის და ტექნიკის გამოყენება. ბოლო დროს მთავრობის მხრიდან გარკვეული პროექტები განხორციელდა, მაგრამ მეტად უნდა გააქტიურდეს მუშაობა, რათა გლობალურ გამოწვევას გავუმკლავდეთ. დიდი საფრთხეა, რომ სურსათის დეფიციტამდე შეიძლება დადგეს წყლის გამოყენების პრობლემა. შეიძლება, ფიზიოლოგიურ დონეზე შიმშილობის პრობლემა არ გვემუქრება, თუმცა ე.წ. ძვირი კალორიები ხალხისთვის მიუწვდომელია. შესაბამისად, რაციონში პური დიდი რაოდენობით გამოიყენება“, – განმარტავს **კობალაძე.**

ცნობისთვის, 2021 წელს გაერომ კაცობრიობისთვის გლობალური სასურსათო კრიზისი იწინასწარმეტყველა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ პლანეტა უზარმაზარი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. პანდემიამ და ბუნებრივმა კატასტროფებმა სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად დააზარალა.

დედამიწაზე 1970-იანი წლებიდან ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი სამჯერ გაიზარდა!

მარი ჩიტაია

ბულვარი ბულვარს დაემსგავსა...

ბათუმის ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი განხორციელდა. ბულვარში აღნიშნული პლაჟი 2010 წელს თურქულ კომპანიას „ბატტუნს“ გრძელვადიანი იჯარით გადაეცა. კომპანიის მიერ უკანონოდ განხორციელდა შენობა-ნაგებობის განთავსება ბულვარის ტერიტორიაზე.

შესაბამისი სამსახურების მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად კომპანიამ უარი განაცხადა, განეხორციელებინა უკანონო შენობების დემონტაჟი. სამართლებრივი დავა დემონტაჟთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ბათუმის მერიის მიერ გატარდა ყველა შესაბამისი ღონისძიება და დაიწყო უკანონოდ განთავსებული ნაგებობების დემონტაჟი.

იური კოჩევენკო: უკრაინელები და ქართველები ერთად გავიმარჯვებთ ამ ამაზრზენ მტერზე!

უკრაინის პროცესზე დამკვირვებლები სხვადასხვაგვარად აფასებენ მიმდინარე მოვლენებს, თუმცა მათ შორის, დასავლეთშიც დომინირებს მოსაზრება, რომ კრემლი პრორუსი სეპარატისტების დახმარებით ეწევა პროვოკაციას, რათა სრულმასშტაბიანი ომის წამოწყებისთვის საბაბი შექმნას.

რეალურად რა ვითარებაა ადგილზე? როგორია სამხედროების თუ სამოქალაქო საზოგადოების განწყობები? — ამ და სხვა საკითხებზე „აძცენტს“ სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტი, რუსულ პროპაგანდასთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი იური კოჩევენკო ესაუბრა, რომელიც ამჟამად დონბასში მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება.

რა ხდება?

კოჩევენკო გვიამბობს, რომ ადგილზე ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა, რომ რუსი ოკუპანტების მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობს უკრაინელი სამხედროების პოზიციების, საცხოვრებელი სახლების და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვა: კოჩევენკო დარწმუნებულია, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ მართული მედიის „ისტერია“ ესკალაციისკენაა მიმართული, ხოლო მასზე პასუხისმგებელია კრემლი, ისევე როგორც „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მშვიდობიანი მოქალაქეების დაცინვაზე, რომლებიც იძულებით გადაჰყავთ როსტოვის ოლქში აბსოლუტურად მოგონილი მიზეზით, თითქოს უკრაინა აგრესიისთვის ემზადება“:

„ეს ევაკუაცია წმინდა წყლის სპექტაკლია და ვწუხვარ, რომ ხალხი იქცა ამ სპექტაკლის ტყვედ. მიჰყავთ გაურკვეველი მიმართულებით, ცივა, კვების და სასმელი წყლის მიწოდების პრობლემაა. რეალურად კი არ არსებობს არანაირი საფრთხე იმისთვის, რომ ამ ადამიანებს ასე მოექცნენ!“.

„ამ პროვოკაციებისთვის მზად ვიყავით“

„უკრაინის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან, ამ პროვოკაციებისთვის მზად ვიყავით და ამას ადასტურებს ჩვენი მხრიდან დანაკარგის არარსებობა, რადგან ვიცით, როგორც უნდა მოვიქცეთ“, — ამბობს კოჩევენკო და იქვე დასძენს, რომ **„მზად ვარ, ვუთავაზოთ „კბილებში“, თუ ისინი შეუტევენ ჩვენს პოზიციებს, მაგრამ ვადასტურებთ რა ერთგულებას სიტუაციის მშვიდობიანი რეგულირებისადმი, ჩვენ ამ დაბომბვებს უკიდურეს შემთხვევაში ვუპასუხებთ, როდესაც საფრთხე დაემუქრებათ ჩვენს მშვიდობიან მოქალაქეებს, სამხედროებს. ამჟამად ისვრიან მხოლოდ რუსები. ზოგჯერ ერთმანეთს ესვრიან, რათა შემდეგ ეს თავიანთი პროპაგანდისტული მედიის საშუალებით წარმოაჩინონ როგორც უკრაინელების პასუხი“.**

რის მიღწევას ცდილობს პუტინი?

უკრაინელი მებრძოლი დარწმუნებულია, რომ პუტინის სტრატეგიული მიზანი უპირველესად, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაა: რათა გაამართლოს საკუთარი რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს კონფროტაციას დასავლეთთან, მეზობლებთან, აცხადებს რა პრეტენზიას პოსტსაბჭოთა სივრცის გავლენის სფეროდ აღიარებაზე და მასზე ცდილობს ქვეყნის შიგნით არსებული რეალური პრობლემებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანას:

„პუტინის ელიტა ძალაუფლების შენარჩუნების სხვა გზას ვერ ხედავს, სხვაგვარად საზოგადოებაში რეალური კითხვები წამოიწევს: ასე ცუდად რატომ ვცხოვრობთ? რატომ გვაქვს ასეთი დაბალი პენსია? რატომაა, რომ მოსახლეობის ნაწილს ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კვლავ ქუჩაში გასვლა უწევს? მუდმივად რატომ ყალბდება არჩევნები?. ამ გზით კი კრემლი ქმნის „მტრის ხატს“, რომელზეც ყურადღება გადავა“.

ჩვენი თანამოსაუბრე დარწმუნებულია, რომ კრემლის იდეოლოგების მადა უკრაინით არ დაკმაყოფილდება: **„ღმერთმა ნუ ქნას და თუ ისე მოხდა, რომ ამ ბრძოლაში უკრაინა დაეცა, ისინი არ გაჩერდებიან: შემდეგ იქნება ბალტიის ქვეყნები, სამხრეთ კავკასია... სადღეისოდ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში რუსი სამხედროები არიან წარმოდგენილნი როგორც ოკუპანტები: საქართველოში — ოკუპირებულ რეგიონებში; სომხეთში — ხელისუფლების თანხმობით, თუმცა რეალურად როგორც ოკუპანტები; ანალოგიური ვითარებაა აზერბაიჯანის შემთხვევაშიც — ყარაბაღში, სადაც ვითომ „სამშვიდობოების“ სტატუსით იმყოფებიან. მათ თავიანთი არაადეკვატური სპიკერების საშუალებით უკვე არაერთხელ გააჟღერეს, რომ სამხრეთ კავკასია მათთვის სასიცოცხლო ინტერესის ზონაა. ამიტომ, არ შეგვეშვებიან და ერთად უნდა ვუპასუხოთ.**

დღევანდელ რუსეთს მოლაპარაკებების უნარი არ აქვს, კონსესუსისადმი მზაობას, ნებისმიერ ნიშანს კონსტრუქციული დიალოგისა კრემლში სისუსტედ აღიქვამენ და ეს კიდევ უფრო აღვივებს მათ იმპერიალისტურ მადას. რუსეთი მხოლოდ იქ გაჩერდება, სადაც გააჩერებენ! ამიტომ პირადად ჩემი მიზანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-სამხედრო ანტიიმპერიული ფრონტის შექმნაა ბალტიიდან კასპიის ზღვამდე არეალში.

საკითხი დღეს ასე არ დგას, მზად ვართ თუ არა ჩვენ ამისთვის. ებრაელმა პოლიტიკოსმა თქვა: „მათ სურდათ, დავხოცილიყავით, ჩვენ კი სიცოცხლე გვსურდა. ამიტომ, ჩვენ მცირე არეალი გვქონდა კომპრომისისთვის“. რუსეთი კომპრომისისთვის შანსებს არ ტოვებს, ამიტომ არჩევანი არ გვაქვს. ეს გადარჩენის საკითხია, ბრძოლა თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, მომავლისთვის!“

საკმარისია მხარდაჭერა?

„წინა ხაზზე ყოფნისას, ჩვენ წინ ვიყურებით, ვუყურებთ მტერს და დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ზურგს ჩვენი ქვეყანა და თავისუფალი სამყარო გვიმაგრებს“, — გვეუბნება უკრაინელი მებრძოლი და იქვე დასძენს, რომ **„უკანასკნელი თვეების განმავლობაში უკრაინამ ნამდვილად მიიღო უპირველესად მხარდაჭერა, საერთაშორისო დახმარება, მათ შორის სამხედროტექნიკური კუთხით. მსგავსი დახმარება 2014 წელს რომ მიგვეღო, ვფიქრობ, დღეს ეს ვითარება შესაძლოა, არც განმეორებულიყო. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.** მისი თქმით, ბევრი უცხოელი გამოთქვამს მზაობას, პირადად დაეხმაროს უკრაინას:

„მხარდაჭერას ვგრძნობთ არა მხოლოდ ხელისუფლებებისგან, არამედ რიგითი მოქალაქეების მხრიდანაც. პირადად ვიღებ ბევრ შეტყობინებას საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ჩეხეთიდან, ლიეტუვადან, ნორვეგიიდან, აშშ-დან, პოლონეთიდან მზაობის შესახებ, რომ იბრძოლონ უკრაინის თავისუფლებისთვის სრულმასშტაბიანი აგრესიის შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, თუ რუსი სამხედროები დაიწყებენ მოქმედებას, ათასობით მოხალისე ჩამოვა სხვადასხვა ქვეყნიდან და მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე 2014 წელს იყო, როდესაც მოხალისეები საქართველოდან, ჩეჩნეთიდან, ლიტვიდან გვეხმარებოდნენ“.

„ჩვენ ერთად ძლიერები ვართ!“

„მინდა, მადლიერება გამოვხატო ქართველი ხალხის მისამართით, გამოხატული მხარდაჭერისთვის. ჩვენ ამას ვგრძნობთ როგორც პირად ურთიერთობებში, ისე ვხედავთ მედიაში და მერწმუნეთ, ეს ჩვენთვის ძალიან ფასეულია. ჩვენ ქართველებს ყოველთვის მეგობრულ, მოძმე ხალხად აღვიქვამდით და გვჯერა, ერთად, ერთობლივი ძალისხმევით გავათავისუფლებთ ჩვენს მიწებს, გავიმარჯვებთ ამ ამაზრზენ მტერზე, ვიქნებით ნატოშიც, ევროკავშირშიც და მშვიდობიანად განვავითარებთ ჩვენს ქვეყნებს. ჩვენ ერთად ძლიერები ვართ!“.

დნმ, როგორც იარაღი...

ჩატომ სჯობდა მოსკოვს დასავლელი ლიდერების გენეტიკური მონაცემები?

თუ ცოდნა ძალაა, მაშინ დნმ-ის ყოვლისმომცველი დეტალების ქონა შეიძლება იყოს ძლიერი იარაღი. დნმ, ანუ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა, არის გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი ბუნებრივი ნაერთი, რომელსაც ყველა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედები შეიცავს. ამ დრომდე უპასუხოდ რჩება კითხვა, თუ რატომ ითხოვდა კრემლი დაჟინებით დასავლელი ლიდერების რუსული „პი-სი-არ“ ტესტის ჩატარებას. კრემლში დღემდე ამ მოთხოვნას მხოლოდ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის უსაფრთხოებით ხსნიან და სხვა დეტალებს არ ახმაურებენ.

საუბარი დნმ-ზე მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთ-უკრაინის საზღვარზე შექმნილი კრიზისის მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად, მოსკოვში დასავლელი ლიდერები ჩავიდნენ, ჯერ ემანუელ მაკრონი, შემდეგ კი ოლაფ შოლცი.

მოსკოვში პუტინის და მაკრონის შეხვედრის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის მედიაში ფართოდ გავრცელების შემდეგ, დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რატომ ისხდნენ ლიდერები მოლაპარაკებების დროს ერთმანეთისგან ძალიან დიდი დაშორებით, ჩვეულებრივზე გრძელ მაგიდასთან. პასუხი მალევე გახდა ცნობილი.

მოსკოვის ვერსიით, კრემლი პრეზიდენტ პუტინის „ჯანმრთელობაზე“ ზრუნავდა და მასთან შესახვედრად ჩასულ საფრანგეთის პრეზიდენტს და გერმანიის კანცლერს, რუსული “პი-სი-არ“ ტესტით, კოვიდ19-ზე ტესტირებას სთხოვდა. უარის შემთხვევაში კი ლიდერებს შორის დისტანცირების წესების სრული დაცვით ჩატარება სავალდებულო იქნებოდა. კრემლის მოთხოვნაზე, როგორც საფრანგეთის, ასევე გერმანიის პირველმა პირებმა უარი განაცხადეს. მათ კრემლს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ლიდერები კოვიდ-19-ზე აცრილები იყვნენ და „პი-სი-არ“ ტესტები პირადი ექიმების მიერ რამდენიმე საათით ადრე უკვე ჩატარებული იყო. ეს კრემლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ორივე შეხვედრა შემდეგ გრძელი მაგიდის ირგვლივ გაიმართა.

რატომ არის დნმ ინფორმაციის დაცვა მნიშვნელოვანი?

მეცნიერები ამბობენ, რომ ორგანიზმიდან აღებული დნმ-ის ნაცხი ადამიანის შესახებ ყველა სახის ინფორმაციას ინახავს. მათ შორის, საიდან არის წარმოშობით, აწუხებს თუ არა რამე, აქვს თუ არა ქრონიკული დაავადება, რა სისუსტეები აქვს მას, როგორია მისი იმუნური მაჩვენებლები და სხვა საბაზისო ცნობები.

დნმ სხეულის ყველა უჯრედშია და მისი ამოღება სხვადასხვა მეთოდებით არის შესაძლებელი, მათ შორის — ცხვირის ლორწოვანიდან აღებული ნაცხით, რომლითაც “პი-სი-არ“ ტესტი კეთდება.

„ასეთი ნიმუშები შეიცავს ადამიანის ტონობით დნმ-ს“- ამბობს კენი ბეიმანი, რომელიც მინესოტას უნივესტიტეტის გენომიკის ცენტრს ხელმძღვანელობს. მისი თქმით, გენეტიკური ნაცხით სპეციალისტებს შეუძლიათ მოიპოვონ ყველანაირი ინფორმაცია ადამიანზე.

კითხვაზე პასუხი, თუ რაში სჭირდება რუსეთს დასავლელი ლიდერების დნმ, პასუხი არა აქვს მეცნიერ ჯორჯ ანასსაც. „დნმ არ არის მაგია. ის მოგცემთ გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ ის არ გეტყვით, თუ როგორ შეგილიათ მოკლათ ვინმე,“ — ამბობს ანასი.

არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ რუსეთს ბიოიარაღის შექმნა აქვს გადაწყვეტილი, თუმცა გენეტიკური ინფორმაციის კომპრომისად გამოყენება, ან ადამიანისთვის ზიანის მიყენება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია.

ნეტავ რატომ ჩამოვიდა მაოხრებელი გზირი საქართველოში?

„აბა ახლა, თუ მივხვდებით, საქართველოში არსებული „საამაყო მე-ნ კოლონა“ ნაცი-მოძრაობის სახით და მისი ბელადი სააკაშვილი რა როლს შეასრულებდნენ დღეს მიმდინარე გეოპოლიტიკურ კოლაფსში?

და საერთოდ ნეტავ, რატომ ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში?

რატომ ჩამოჰყვა რამდენიმე დღეში მას, საამაყო ბიძა, კაგებეს ოფიცერი თემურ ალასანია?! იმიტომ ხომ არა რომ ფსევდო-ანტისაოკუპაციო მოქმედებებით უფრო დიდ პროვოკაციებში გავხვეულიყავით?!

ზუსტად დღევანდელი პრაგმატული პოლიტიკის შედეგია, რომ იგივე სცენარი არ მეორდება საქართველოში...“ წერს სოციალურ ქსელში ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე და აზიარებს კონდოლიზა რაისის განცხადებას, რომ მან სააკაშვილს 2008 წელს მოუწოდა რუსეთის პროვოკაციისგან თავის შეკავებისკენ.

როგორც ანალიტიკოსი წერს, სააკაშვილის პოლიტიკის საილუსტრაციოდ კონდოლიზა რაისის განცხადებაც კმარა, თუ რა გააკეთა 2008 ში ჩვენმა „მაოხრებელმა გზირმა“.

საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, წინასწარ ხომ არ იცოდა შესაძლო ომის შესახებ და საქართველოში გამოასწრო?!

ღიმილს აღარ იწვევს სააკაშვილის მუქარა, ახლა რომ გარეთ ვიყო, ფრონტის ხაზზე იარაღით ხელში ვიქნებოდიო. რა ინფორმაციები ჰქონდა მას რუსეთიდან, რას გამოასწრო საქართველოში და რას აპირებდა აქ, – წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი. მისი თქმით, მიშას გეგმები სისრულეში რომ მოსულიყო, ახლა ზუსტად იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც უკრაინას.

მისივე თქმით, სააკაშვილმა ბოლომდე ვერ გათვალა და ციხეში აღმოჩნდა, სხვათა შორის სავსებით კანონიერად და სამართლიანად.

„არანორმალურია ადამიანი, ვისაც მოსწონს ის რაც ხდება უკრაინაში, არანორმალურია, ვინც ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი მარტივად დასრულდება. ერთი კი ფაქტია, რომ დასავლეთმა უფრო ქმედითი ზომები უნდა გაატაროს, თორემ მადაგაღვიძებული რუსეთი მივა იქამდე სადამდეც მიუშვებენ. მერე შეშფოთება-აღშფოთებები გვერდზე დარჩება, თუ უკვე დაგვიანებული არ არის. თუმცა სჯობს გვიან ვიდრე არასდროს. ამ ყველაფრის ფონზე, უკვე ღიმილს აღარ იწვევს სააკაშვილის მუქარა, ახლა რომ გარეთ ვიყო, ფრონტის ხაზზე იარაღით ხელში ვიქნებოდიო. ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, მისი სიმამაცის შესახებ ყველას მოეხსენება, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, ფრონტის ხაზიდან გაქცევის დროს როგორ ფორთხავდა მიწაზე. ასევე, საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ამ „მსოფლიოს მასშტაბის პოლიტიკოსმა“ და „აღმოსავლეთის ვარსკვლავმა“, წინასწარ ხომ არ იცოდა შესაძლო ომის შესახებ და საქართველოში გამოასწრო?! ცხადია რა ინფორმაციები ჰქონდა მას რუსეთიდან და რას გამოასწრო საქართველოში და რას აპირებდა აქ. მიშას გეგმები სისრულეში რომ მოსულიყო, ახლა ზუსტად იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც უკრაინას. სააკაშვილმა ბოლომდე ვერ გათვალა და ციხეში აღმოჩნდა, სხვათა შორის სავსებით კანონიერად და სამართლიანად“, – წერს Facebook-ზე ნიკოლეიშვილი.

სააკაშვილს სურდა ე.წ. ანტირუსული გამოსვლების ორგანიზება და მტრის ხელახლა პროვოცირება

სანამ ქმედითი სანქციები არ იქნება, ბარბაროს პუტინს ვერაფერი შეაჩერებს. შეშფოთება-აღშფოთება და სიმბოლური ფინანსური დასჯა არაფრის მომტანია. ამის შესახებ ათწლეულებია საუბრობენ დასავლეთის გავლენიანი ანალიტიკური ცენტრები, – წერს ანალიტიკოსი გია აბაშიძე სოციალურ ქსელში.

როგორც ის წერს, საცოდავი სააკაშვილის საბრალო სექტის ფსევდო სოლიდარობა აბსოლუტურად უადგილოა! არაჟნის ტრაილერით საქართველოში შემოპარვით სააკაშვილს სურდა სიტუაციის მაქსიმალურად აყირავება ე.წ. ანტირუსული გამოსვლების ორგანიზება და მტრის ხელახლა პროვოცირება.

„სანამ ქმედითი სანქციები არ იქნება, ბარბაროს პუტინს ვერაფერი შეაჩერებს. შეშფოთება-აღშფოთება და სიმბოლური ფინანსური დასჯა არაფრის მომტანია. ამის შესახებ ათწლეულებია საუბრობენ დასავლეთის გავლენიანი ანალიტიკური ცენტრები.

საცოდავი სააკაშვილის საბრალო სექტის ფსევდოსოლიდარობა აბსოლუტურად უადგილოა! არაჟნის ტრაილერით საქართველოში შემოპარვით სააკაშვილს სურდა სიტუაციის მაქსიმალურად აყირავება ე.წ. ანტირუსული გამოსვლების ორგანიზება და მტრის ხელახლა პროვოცირება. მმართველი გუნდისა და დასავლელი პარტნიორების ძალისხმევით, შიდა საფრთხე განეიტრალებულია, საგარეო ფლანგზე კი ვმოქმედებთ უცხოელ მეგობრებთან კოორდინაციაში.

მიშამ უკვე დიდი ხნის წინ იცოდა რაც ელოდა უკრაინას რუსეთისგან...

გაეცა ახლა პასუხი თუ რატომ დატოვა მიშამ უკრაინა და მალულად ჩამოიპარა საქართველოში? ბიძია თემურის ჩამოსვლა რას ნიშნავდა, ანტირუსული მოძრაობის გააქტიურებას ხომ არა? – facebook მომხმარებელი ნინო ფოჩხუა უკრაინა-რუსეთში მიმდინარე მოვლენებს და მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ეხმიანება.

„დარჩა კიდევ კითხვები? მიშამ უკვე დიდი ხნის წინ იცოდა, რაც ელოდა უკრაინას რუსეთისგან და ისიც აქ ჩამოსვლით, სიტუაციის არევით, რუსეთთან ერთად უკრაინის სცენარს ამზადებდა. რომ არა ხელისუფლების და შესაბამისი უწყებების უმაღლეს დონეზე ჩატარებული სპეცოპერაცია, დღეს ჩვენ უკრაინასთან ერთად სად და როგორ ვიქნებოდით, გასაგებია. ვუსურვებ უკრაინელ ხალხს მხნეობას, გამძლეობას და გამარჯვებას“, – წერს ფოჩხუა.

ამონარიდი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან ინტერვიუდან

ორ კვირაში შემოვა უმაღლესი ხარისხის თურქული მედიკამენტები...

მაფიოზური სქემები უნდა დამთავრდეს, მე ამას დავასრულებ!

ჩვენ **როდესაც შევისწავლეთ მედიკამენტების საკითხი, დავინახე გამოსავალი და გავაკეთე – გავხსენი სხვა ბაზრები, გავაჩინე უფრო მეტი კონკურენცია, ახლა ჩვენ დავიწყებთ ელექტრონული რეცეპტების შემოღებას; ალბათ მკითხავთ, რა კავშირი აქვს ამას ფასებთან, მაგრამ გეტყვით, რომ დიდი კავშირი აქვს, იმიტომ, რომ ის მანკიერი სისტემა, მე ვიტყოდი ის მაფიოზური სქემები, რომელიც დღეს არის შექმნილი, უნდა დამთავრდეს და მე ამას დავასრულებ!**

– ეს ძალიან მალე მოხდება, ჩემი ინფორმაციით, ორ კვირაში უკვე შემოვა პირველი პარტია თურქული მედიკამენტების და აქვე მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ეს იქნება უმაღლესი ხარისხის, GMP-სტანდარტის მედიკამენტები. ე.წ. გენერიკები, რომელიც ასევე იყო კონკურენციის სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია. მოსახლეობისთვის განვმარტავ, რას ნიშნავს ეს – მაგალითად „იბუპროფენის“ მწარმოებელი შეიძლება იყოს რამდენიმე კომპანია და მათი ფასები, ბრენდების მიხედვით, იყოს უფრო ძვირი, მაგრამ შემადგენლობა და მოქმედი ნივთიერება შეიძლება იყოს გენერიკი და აქ, რა თქმა უნდა, კონკურენციაც იზრდება, უფრო ფართო არჩევანი ექნება ჩვენს მოსახლეობას და უფრო ნაკლებს გადაიხდიან ჯიბიდან მედიკამენტებზე. ამასაც ძალიან მალე ვაპირებთ, ამ ინიციატივით წარდგება ჯანდაცვის მინისტრი და განვახორციელებთ ყველა იმ ცვლილებას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება. ამასთან, მთავრობის მეთაურის თქმით, 200 მილიონი ლარი იხარჯება ვერტიკალურ სერვისებზე, კერძოდ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების სავალდებულო შესყიდვებზე, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და მოსახლეობას უფასოდ გადაეცემა. „მანამდე, წინა ხელისუფლების დროს ეს იყო 18 მილიონი. 20 მილიონს ხარჯავდნენ მოსახლეობისთვის უფასო მედიკამენტებზე, ჩვენ 200-225 მილიონს ვხარჯავთ ყოველწლიურად. ვაპირებთ, კიდევ უფრო გავაფართოოთ სერვისები სხვა ქრონიკული დაავადებებისთვის, რომ უფასოდ გავცეთ მედიკამენტები“.

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
2.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
3.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
4.	თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება ახალი პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა; სამუშაოთა დაგეგმვა და მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელობა.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ)	შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 24 მარტი.
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

◎ მოვლენის შემდეგ

ვალიევას დრამა, „მონათმფლობელი“ ეთერ თუთბერიძე, „ჰიტლერის ოლიმპიადა“...

პეკინის ზამთრის 24-ე ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ დაიხურა. რა შეიძლება ითქვას ამ ასპარეზობაზე? სადღაც 10-15-20 წლის შემდეგ სპორტის „სტაჟიანი“ გულშემატკივარი მას ორი წინადადებით გაიხსენებს: კამილა ვალიევას დრამა და უკრაინა-რუსეთს შორის არსებული დაძაბულობა – ალბათ, მართალიც იქნება. პეკინის თამაშებმა ამ ორი მოვლენის ფონზე ჩაიარა და „ვალიევაგეიტი“ მისი უმთავრესი მოვლენა აღმოჩნდა.

ერთი ჩვეულებრივი დოპინგ-სკანდალი საპნის ბუშტივით გაიბერა და არაერთი, ადრე საგულდაგულოდ მიმალული პრობლემა დღის სინათლეზე გამოიტანა. ხმაური დიდი გახლდათ, ისეთი, რომ უახლოეს მომავალში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არასრულწლოვანი სპორტსმენების თამაშებზე ასპარეზობის აკრძალვას ოფიციალურად დაიკანონებს. როდის მოხდება? ალბათ, – ძალიან მალე.

15 წლის წარმოშობით ყაზანელი ვალიევა ფიგურულ სრიალში საასპარეზოდ როგორც გამონაკლისი ისე დაუშვეს! მისი „საქმის“ ოფიციალური განხილვა კი ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე გადაიდო.

მოზარდმა აკრძალული ნივთიერება ტრიმეტაზიდინის მიღება აღიარა, მიზეზად კი ბებუის ჭიქა დაასახელა, თითქოსდა შეცდომით ამ ჭურჭლით ისარგებლა. მეორე დღეს იგივე კამილას ბებუამაც გაიმეორა – „პრეპარატს რეგულარულად ვიღებდი და შვილიშვილს ელემენტარულად ჭიქები შეეშალაო“, – განაცხადა. ცოტა კი არა, კარგად გვარიანი აბსურდია, მაგრამ ეს ვერსია ოფიციალურად გაულერდა და რუსული მხარეც მას აქტიურად „აწვებოდა“. უფრო საინტერესო კი ის გახლავთ, რომ უკვე პეკინში აღებულ სინჯში ვალიევას კიდევ სამი აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს.

ავად თუ კარგად, დოპინგის ნორჩი თაყვანისმცემელი საასპარეზოდ დაუშვეს. მოკლე პროგრამაში პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ სავალდებულო სრიალისას რიგი შეცდომები დაუშვა და საბოლოოდ ოლიმპიური თამაშები მეოთხე ადგილზე დასრულა. აქ უკვე დრამის მეორე ნაწილი გათამაშდა.

პირველ ადგილზე რუსი **ანა შჩერბაკოვა** გავიდა, მეორეზე – მისი თანამემამულე **ალექსანდრა ტრუსოვა**. მესამე ადგილი ამ შემთხვევაში თითქოს საინტერესო არ არის, მაგრამ მოგახსენებთ, რომ მას იაპონელი **კაორი საკამოტო** დაეუფლა.

ასპარეზობის დასრულების შემდეგ მთელმა მსოფლიომ იხილა გაწითლებული ალექსანდრა ტრუსოვა, რომელიც გახარების მიუხედავად (მეორე ადგილი დაიკავა) ისტერიკაში იმყოფებოდა, ყველას თავდავიწყებით ლანძღავდა, თან ფიგურული სრიალისთვის თავის დანებების პირობას დებდა, გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე კი ცრემლები ღვარად სდიოდა.

უკეთეს დღეში არც ჩვენი ახალი პერსონაჟი, კამილა ვალიევას მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე გახლდათ, რომელიც გაყინული სახით თავის შეგირდს სუსტად ასპარეზობის გამო მიწასთან ასწორებდა. ვინ არის ეთერ თუთბერიძე? – მოსკოვში დაბადებული და მცხოვრები 47 წლის ფიგურული სრიალის ცნობილი მწვრთნელია. სახელისა და გვარის გამო მოგახსენებთ, რომ სანახევროდ ქართველია, დანარჩენი კი – სომხური და რუსული სისხლი თანაბრად ურევია.

ვალიევას ინციდენტის შემდეგ ჟურნალისტები თუთბერიძის მოღვაწეობის შესწავლას საგულდაგულოდ შეუდგნენ და აღმოაჩინეს, რომ „ეთერი მასწ“ საკუთარ მცირეწლოვან მოსწავლეებს სპარტანული მეთოდებით წვრთნის, იმედისმმცემი არასრულწლოვანი გოგონების ნამდვილი ინკუბატორი გააჩნია, სადაც მათ შესაძლებლობებს ბოლომდე წურავს, შემდეგ კი დაძველებული ტანსაცმელივით თავიდან იშორებს. ამიტომ, თუთბერიძის თითოეული შეგირდი საერთაშორისო ასპარეზობებზე მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში ბრწყინავს, 18 და 19 წელს მიღწეულები კი ფიგურულ სრიალს თავს სამუდამოდ ანებებენ და არაერთი ტრავმა მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევთ.

ვალიევას ამბავმა რუსეთში დიდი ხმაური გამოიწვია და ნაწილმა ეთერ თუთბერიძის სამწვრთნელო მეთოდები სასტიკად გააკრიტიკა. ცნობილმა ჟურნალისტმა **ალექსანდრე ნევზოროვმა** თავისი ქვეყნის მთავრობას არასრულწლოვანი მოზარდების პროფესიულ სპორტში ჩაბმის აკრძალვის გადაწყვეტილების მიღებისაკენ მოუწოდა. სპორტულმა ჟურნალისტებმა **გიორგი ჩერდანცევმა** და **იგორ რაბინერმა** ვალიევას საქმეში მონაწილე ყველა ფიგურანტის სასტიკად დასჯა, თავად თუთბერიძისგან კი სახალხოდ ბოდიშის მოხდა მოითხოვეს.

რუსეთის სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებმა მხარი ქართული სახელისა და გვარის მქონე ფიგურული სრიალის სპეციალისტს დაუჭირეს. ჩვენთვის კარგად ნაცნობი **დმიტრი პესკოვი** „ოლიმპიურ ასპარეზზე“ ისევ გამოჩნდა და განაცხადა, რომ თუთბერიძე მაღალი რანგის მწვრთნელია, რუსეთისათვის სპორტულ გმირებს ზრდის და არავისი საქმეა, მცირეწლოვანებთან მუშაობისა და აღზრდის რა მეთოდებს იყენებსო.

ყველაფერი ამისი დაგვირგვინება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **თომას ბახის** სპეციალური განცხადება გახლდათ.

„როცა დავინახე, რამდენად ცივად მიიღო კამილა ვალიევა მისმა გარემოცვამ, შინაგანად მეც გავიყინე. არ შემეძლო იმის ყურება, რასაც ვხედავდი. ძალიან იმედგაცრუებული და შეშფოთებული ვიყავი. იმის ნაცვლად, რომ ენუგეშებინათ და დახმარებოდნენ მას შემდეგ, რაც მოხდა, აშკარად იგრძნობოდა ყინულივით ცივი ატმოსფერო. ნუთუ შესაძლებელია, რომ საკუთარი სპორტსმენის მიმართ ასეთი ცივი და უგრძნობი იყო? ეს ყველაფერი კამილას გარემოცვის მიმართ განსაკუთრებული ნდობით არავის განაწყობს - არც იმ ვითარების თვალსაზრისით, რაც ახლა ხდება და არც სამომავლოდ. ვალიევას ვუსურვებ, რომ მხარდაჭერა ჰქონდეს – ოჯახის, მეგობრების და იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც მის გარშემო არიან“.

ამის შემდეგ თომას ბახმა განაცხადა; რომ დადგა დრო, პროფესიულ სპორტში ასპარეზობა არასრულწლოვნებს აეკრძალოთ და ამ საკითხის გადაჭრას უახლოეს მომავალში მიუბრუნდება.

ციგურაობაში 5 000 და 10 000-მეტრიან დისტანციებზე შვედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნილს ვან დერ პულმა**, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, პეკინში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიადა ბერლინის 1936 წლის თამაშებს შეადარა, რომელიც **ადოლფ ჰიტლერმა** ნაცისტური პროპაგანდისთვის გამოიყენა.

„ოლიმპიური თამაშები დიდებულია. ეს ფანტასტიკური სპორტული მოვლენაა, მაგრამ პეკინის თამაშებს 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადას შევადარებდი. ჰიტლერიც ამას აკეთებდა, სანამ პოლონეთს შეუტევდა და რუსეთიც, სანამ უკრაინაში შეიჭრებოდა. მიმაჩნია, რომ ძალიან უპასუხისმგებლო საქციელია, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მისცე ქვეყანას, რომელშიც ადამიანის უფლებები ისე აშკარად და უტიფრად ირღვევა, როგორც ამას ჩინეთის რეჟიმი აკეთებს.

თვითონ ჩინელები, რომლებსაც შევხვდი, ძალიან კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმ თვალსაზრისით, რომ ჩინეთის რეჟიმი საშინელია“.

ნათელმხილველი არ გახლავართ, შესაბამისად, მომავლის პროგნოზირება გამიჭირდება, შვედ ოლიმპიურ ჩემპიონს კი იმაში ნამდვილად დავეთანხმები, რომ უკრაინა-რუსეთის კრიზისი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და კაციშვილმა არ იცის, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს. თავის დროზე ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე პეკინის კონკურენტი ყაზახური ასტანა გახლდათ. ჩინეთმა კონკურენტს სულ რამდენიმე ხმით აჯობა. უიღურების პრობლემა მაშინაც მწვავედ იდგა და მიმაჩნია, რომ ჩინეთის არჩევით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დიდი შეცდომა დაუშვა.

სანტიაგო გაუჩო

◎ სპორტი და პოლიტიკა

სანქციების მოლოდინში

როგორც მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალს 28 მაისს სანკტ-პეტერბურგის „გაზპრომ არენამ“ უნდა უმასპინძლოს, მაგრამ მაშინ, როცა ევროპაში დენთის კასრი აფეთქდა და რუსეთ-უკრაინის ომი გაჩაღდა, სულ უფრო ინტენსიურად განიხილება სეზონის უმთავრესი საკლუბო მატჩის ჩრდილოეთის ვენეციიდან გადატანის საკითხი.

აღნიშნული ინიციატივა ყველაზე მკვეთრად თემთა პალატაში გამოსვლისას ფეხბურთის სამშობლოს პრემიერმა ბორის ჯონსონმა გააჟღერა და გადაწყვეტილების მისაღებად ხელთათმანი უეფას პრეზიდენტ ალექსანდრ ჩეფერინისკენ ისროლა – აგრესორს სანქციები სპორტული თვალსაზრისითაც უნდა დავუწესოთო, რაც ნევისპირა ქალაქის თამაშგარე დატოვებას გულისხმობს.

იქვე პარტნიორებს ხმა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამაც შეაშველა – 24 მარტს მოსკოვში დანიშნული მუნდიალის პლეი-ოფისთვის, ყველაზე უარეს შემთხვევაში, ნეიტრალური ქვეყანა და სარბიელი გამოგვიძებნეთო.

ბუნებრივია, სლოვენიელი მაღალჩინოსანი ორ ცეცხლსშუა მოექცა – „გაზპრომი“ ხომ როგორც უეფას, ისე ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის გენერალური სპონსორია, თუმცა როცა სასწორზე ძველი სამყაროს მშვიდობიანი მომავალია შემოდებული, ძნელია პრაგმატულ და ოპტიმალურ გამოსავალს მიაგნო.

ვიდრე შვეიცარიულ შტაბ-ბინაში თავს იმტვრევენ – როგორ მოიქცნენ, ელიტამ პირველი მერვედფინალური რაუნდი დაასრულა.

„ვილიარეალი“ - „იუვენტუსი“ 1:1.

ტრავმების ეპიდემია და ესპანურ კლუბებთან უარყოფითი სტატისტიკა „ბებერ ქალბატონს კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ იტალიელებს მხსნელად „ფიორენტინადან“ შეძენილი დუშან ვლაჰოვიჩი მოევლინათ, რომელმაც დანილოს უზუსტესი გადაცემა 32-ე წამზე (!) აქცია ბურთის დიდოსტატური დამუშავებითა და მახვილი კუთხიდან მოულოდნელი დარტყმით გოლად. მასპინძელთა ერთფეროვან იერიშებს მხოლოდ პარეხოს საპასუხო ბურთი მოჰყვა.

„ჩელსი“ - „ლილი“ 2:0

„არისტოკრატებმა“ საფრანგეთის უკვე დაშლილ ჯერაც მოქმედ ჩემპიონს კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარეს, ჰავერცისა და პულიშიჩის გასროლები იკმარეს და ყველას აგრძნობინეს, რომ წლეულსაც საფუძვლიანი ამბიციები გააჩნიათ.

„აბლეტიკო - „მანჩესტერი“ 1:1

შესვენების წინ სტუმრები ლინდელოფის ავტოგოლისგან ძელმა იხსნა. ეს იყო ამ მატჩის კულმინაცია, რადგან დებიუტში მიღწეული უპირატესობა ჟოაო ფელიქსმა ზუსტ თავურში ასახა. სასჯელი მე-80 წუთზე ელანგას საპასუხო გოლში გამოიხატა. ეს „მანჩესტერის“ მე-500 გატანილი ბურთია ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში.

„ბენფიკა“ - „აიაქსი“ 2:2

„აიაქსის“ ბომბარდირმა სებასტიან ალემ უცნაური დუბლი შეასრულა – ჯერ ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა, 3 წუთში კი მეტოქეს გაუტანა. იგი რუუდ გეელსის შემდეგ მეორე ნიდერლანდელია, ვინც 1 სეზონში 11-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები.

მოკლედ

ჭადრაკი. გრან პრის ეტაპი ონლაინ-ბლიცტურნირში. 488 მონაწილე. შვეიცარიული სისტემა – 11 ტური. პირველი ადგილი – **ბაადურ ჯობავა** – 10 ქულა.

ჟიდაობა. დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის მემორიალი ბულგარეთში. საქართველოს ნაკრები – 13 მედალი (8 – ბერძნულ-რომაულში, 5 – თავისუფალში). „ოქრო“ – **გელა ბოლქვაძე** (82 კგ) – კლასიკურში.

წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდის X ტური. „დინამო“ (თბილისი) – „რადნიჩკი“ (სერბეთი) – 13:17 (3:6, 5:5, 2:4, 3:2). ეს დინამოელთა მე-10(!) დამარცხებაა.

ლეგენდები, ლეგენდები

როგორ გაჩნდა ქართული სოფელ-ადგილების სახელები

ვალე

ერთხელ, ძალიან ძველ დროს, ერთ იმერელს აბასთუმნის გზით ჩამოუვლია, ფოცხოვის წყალში გაუტოპავს და ერთი ძველი ტაძარი დაუნახავს. მისულა, დაუთვალიერებია ეს ტაძარი, ძალიან მოსწონებია. უკან დაბრუნებისას ერთი მუჭა ცერცვი მიუპნევია და უთქვამს „ეს შენ მოგავალეო“.

რამდენიმე თვის შემდეგს იმერელს ისევ გაუვლია იმ გზაზე და უნახავს, რომ მის მიერ მიპნეული ცერცვი ამოსულიყო და ძალიანაც გაზრდილიყო. იმერელს მოსწონებია ეს ადგილები და საცხოვრებლად გადასახლებულა.

როცა ეს ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს, ვალი მივიღეო. ამიტომაც ამ სოფელს ჯერ ვალი რქმევია, შემდეგ კი ვალე უწოდებიათ. სხვა ლეგენდის თანახმად, ძველ დროს, როცა თათრები ქართველ ბავშვებსა და ქალებს იტაცებდნენ, სოფლის ვაჟკაცები თურმე სოფლის ბოლოს ხვდებოდნენ და ათავისუფლებდნენ ტყვეებს. ისინი თავის ვალად მიიჩნევდნენ ტყვეების გათავისუფლებისთვის მუდმივად ბრძოლას და ამიტომაც დაერქვა სოფელს ვალეო. კიდევ ერთი თქმულებით, ძალიან ძველ დროს ერთი შეძლებული კაცი მხლებლებთან ერთად სტუმრად წამოსულა სოფელ ორლიდან. როდესაც იმ ადგილას გამოუვლია, სადაც ამჟამად ეკლესია დგას, ტყეში, პატარა მდინარის პირას დაუსვენიათ, რომელიც თურმე მაშინ წყალთბილის მხრიდან ჩამოედინებოდა.

ამ მდიდარ კაცს მოსწონებია ეს ადგილები და უთქვამს, ჩემი ვალია, მეზობელი სოფლის მოსახლეობისათვის აქ ეკლესია ავაგოო. დაუწყია მშენებლობა და ყველა მეზობელი სოფლის მცხოვრებს წაუშველებია ხელი. იმდენი ხალხი მისულა დასახმარებლად, რომ ქვები მთებიდან ხელიდან ხელში გადაწოდებით მიუტანიათ ადგილამდე. ეკლესიის აგების შემდეგ კი მეზობელი სოფლებიდან მოსახლეობის ნაწილი იქ დასახლებულა და სოფლისთვის ვალე უწოდებიათ.

დედამოკა

ნოძალაძევთან არის სამკურნალო თვისებების მქონე ცხელი გოგირდოვანი წყალი. ამ ადგილს დედამოკას ეძახიან — რაც ორსულ ქალს ნიშნავს.

გადმოცემის მიხედვით, ერთ ფეხმძიმეს მტერი გამოდევნებია. ქალს შველა უძველესი ქალღმერთისთვის უთხოვია და მასაც შეუსმენია ორსულის თხოვნა: წყალი დაუშრია, ქალი მეორე ნაპირზე გადასულა და თავი გადაურჩენია. მეორე ვერსიით კი, მტრისგან ლტოლვილ ფეხმძიმე ქალს წყლისთვის მიუცია თავი — მდინარეში გადამხტარა. ახლა იქ ქვის სვეტი დგას, რომელსაც ორსულ ქალს ამსგავსებენ და ადგილის სახელიც, სავარაუდოდ, აქედან წარმოსდგება.

სამგორი

ძველად ლოჭინის ხეობაში მტრის დასაზვერად ორი სვეტი ყოფილა აშენებული, რომელთა თავზეც დარაჯები მტრის გამოჩენისთანავე ცეცხლს ანთებდნენ და მოსახლეობას მტარვალთა მოახლოებას ატყობინებდნენ. ერთი ასეთი დარაჯთაგანი ყოფილა ვინმე ცალხელა ლოჭინი. მას ორი ვაჟი ჰყავდა.

ერთხელ ლოჭინს დაუნახავს, რომ ადიდებულ ხევისწყალს შველი მოაქვს, რომელიც პატარა კუნძულივით ამაღლებულ გორაკზე გაურიყავს. შესცოდებია კაცს შველი, შესულა ადიდებულ წყალში და სამშვიდობოს გამოუყვანია, შინ წაუყვანია და შვილებთან ერთად მოუვლია. ცხოველი ადამიანივით გამგონე გამხდარა და პატრონს, თურმე, სულ თან დაჰყვებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ სვეტზე დარაჯებად მისი შვილები დაუყენებიათ. ერთ ღამესაც ახალგაზრდებს ღრმად ჩასძინებიათ. ამ დროს მტერი მოახლოებია ხეობას. უკვე ირმად ქცეულ შველს საფრთხე უგრძნია და დაუწყია ფეხების ბაკუნი და რქების ჯახუნი, რომ ძმები გაეღვიძებინა. დარაჯებს უკანასკნელ წუთს გაღვიძებიათ, სანიშნე ცეცხლის დანთება კი მოუსწრიათ, მაგრამ მტერს ორივე ისრით დაუხოცავს. თუმცა ძმათა მცდელობას ტყუილად არ ჩაუვლია. თბილისის მეციხოვნეები მომზადებული დახვედრიან მომხდურს და დაუმარცხებიათ კიდეც.

დარჩა, თურმე, ირემი მარტო ტყეში. მიაკითხა ძმებს, მაგრამ მკვდრები დახვდნენ ისინი. სიმწრისაგან ატირებულა ძმების ნაზარდი ირემი, მერე კი იმდენ ხანს ურტყია თურმე ქვას თავი, სანამ არ მოკვდა. ძმები და ირემი, დიდი ამბით, ცალ-ცალკე დაუმარხავთ გაშლილ ველზე. თითოეულის საფლავზე თავისით აღმართულა სამი მაღალი გორა. მას შემდეგ ამ ადგილს სამგორის ველს უწოდებენ.

არხილოსკალო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ველზე, გაშენებულია ლამაზი სოფელი არხილოსკალო.

1616 წელს მორიგი ლაშქრობის დროს ირანის შაჰმა 100 ათასი კახელი გაჟლიტა, ათეულათასობით დატყვევებული ქართველი კი ფერეიდნის გზას გაუყენა. მტარვალმა ერთ-ერთ სოფელში თოთო ბავშვები კალოზე დააყრევინა და ცხენებით გადაჯეგა.

სწორედ ამ ტრაგედიის მერე ეწოდა ამ გავერანებულ ადგილს „არ იხილო კალო“, რადგან წმინდა ბავშვების სისხლით გაპოხილ ცოდვიან ადგილზე კალოობის მომწყობი სულიერი აღარ იყო დარჩენილი.

რაც შეეხება სოფელს, ის XIX საუკუნის ბოლოს აღუდგენიათ და ამ საქმეში დიდი ამაგი ვაჟა ფშაველასაც მიუძღოდა.

გერგეტის სამება

ხევში არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ დიდი დავა ჰქონიათ, თუ სად უნდა აშენებულიყო წმინდა სამების ტაძარი. მაშინ ერთ ბერიკაცს უთქვამს, „ფურბერწი დაჰკალით და მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დააგდეთ. მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, ტაძარიც იქ ააშენეთო.

ასეც მოქცეულან. მოფრენილა ყორანი და წაუღია სამგორველი. ხალხი მდევრად გაჰყოლია. ყორანს ანანურის თავზე დაუსვენია და იქ სამების ნიში აუგიათ. მერე კი ყორანი ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრენილა, იქიდან კი გერგეტში, „ელგეშის“ ნიშთან გადაფრენილა, ცოტა დაუსვენია და ბოლოს სამების მთაზე დაუგდია სამგორველი. ძვალიც იქ გამოუხრავს.

ამის მერე დავა იმაზე მოსვლიათ, თუ ვის უნდა ჩაეყარა საძირკველი. ამ დროს წამომდგარა ერთი კაცი და უთქვამს: წადით ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართული, იქიდან გამოიქეცით და ვინც სამებაზე პირველი ავა, საძირეც იმან გაჭრასო.

გამოქცეულან ბიდარის მთიდან. ერთი ხურთისელი კოჭლი ბახჩიძე მთა-მთა მოკლე გზით გადმოსულა, სამების მთაზე ცხენოსნებზე წინ მისულა, საძირკველიც გაუჭრია და მშენებლობაც დაუწყია.

ტაძრის ასაგებად ქვა ხარებს ყანობ-ხურთისიდან ამოუტანიათ, კალატოზებისათვის წყალი მეცხვარეს უზიდია. ჰოდა, წყაროს დღესაც კალატას წყაროს უწოდებენ.

სანთელი

ნუგზარ მელიტონის ძე შონია

68 წლის ასაკში უეცარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. განა რა არის ეს წლები, როდესაც სრულიად მოულოდნელად გეცლება ხელიდან ოჯახის თავკაცი, სამეგობროში და სანათესაოში გამორჩეული ადამიანი. საშინელებაა, როდესაც სიკვდილთან ბრძოლაში უძლური ხდები და ამაოა ყოველგვარი ცდა და მონდომება. უდიდესი ტკივილია ოჯახისთვის, მეუღლისთვის, ერთგული ძმისთვის ასეთი უშურველი, ხელგაშლილი, ტკბილმოუბარი, ყველასათვის საყვარელი და ყველასგან დაფასებული ადამიანის ამქვეყნიდან წასვლა.

ვინც გიცნობდა, სიყვარულისა და სიკეთის მთესველ, ულალატო კაცად გთვლიდა. რადგან შენი თბილი და იმედისმომცემი გამომეტყველება ყოველგვარ სიტყვასა და საქციელზე მეტი იყო.

ახლა ისლა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, შენი ლამაზი, კეთილი სული ღმერთს შევავედროთ, აქ დანთებული სანთლებით გზა გაგინათოთ იმქვეყნიური სამოთხისკენ.

მეუღლე თინა ძისიაშვილი,
ძმა ჯემალი, ძმისშვილები ნიკა,
ნუგო, ტასო, ევა და ვივიენ შონიები.

ჩვენს პლანეტაზე 9000-ზე მეტი ხის სახეობა ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი!

ამბიციური, ფართომასშტაბიანი კვლევის ფარგლებში, რომელიც უდიდესი იყო ამ დრომდე ჩატარებულ სახის კვლევებს შორის, მეცნიერებმა სცადეს შეეფასებინათ, რამდენი სახის ხე არსებობს დედამიწაზე; შედეგები მიუთითებს, რომ ხის ათასობით სახეობა ჯერ კიდევ აღმოუჩენელია.

უზარმაზარ საერთაშორისო კვლევაში ასზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა. **მიღებული შედეგების მიხედვით, დედამიწაზე ჯამში დაახლოებით 73 000 სახეობის ხეა, მაგრამ დოკუმენტირებულია მხოლოდ 64 000 სახეობამდე.** ანუ, მკვლევართა განცხადებით, ჯერ კიდევ აღმოუჩენელია ხის 9200-მდე სახეობა, რომლებიც ამ დრომდე სამეცნიერო ყურადღების მიღმა რჩება.

„ხეების დონის ინდივიდუალური მონაცემები შევაჯერეთ მასიურ გლობალურ მონაცემებთან. მონაცემთა თითოეული კრებული შედგენილია ადამიანთა მიერ, რომლებიც ტყეში წავიდნენ და აღრიცხეს თითოეული ხე — შეაგროვეს მონაცემები მისი სახეობის, ზომის და მახასიათებელთ შესახებ. მსოფლიო მასშტაბით ხის სახეობათა დათვლა ფაზლს ჰგავს, რომლის ნაჭრებიც მთელ მსოფლიოშია გაბნეული“, — ამბობს პერდიუს უნივერსიტეტის რაოდენობრივი ტყის ეკოლოგი ჯინჯინგ ლიანგი.

ამ შემთხვევაში, ფაზლი შედგებოდა ხეების ორი ვრცელი, ერთმანეთთან შეჯერებული მონაცემთა კრებულისგან. ერთი Global Forest Biodiversity Initiative-ს ეკუთვნოდა, რომლის კოორდინატორიც ლიანგია, მეორე კი TreeChange-ს.

მონაცემთა შეგროვების პროექტი ხეების კატალოგიზაციის საველე სამუშაოების მრავალწლიან შრომას აერთიანებს. ადგენენ ხის სახეობათა მონაცემთა ბაზებს პლანეტის 100 X 100 კილომეტრიანი უჯრედებისთვის. სტატისტიკური კორექტირებით, რომელიც ითვალისწინებს ბიომების შედარებით სიმდიდრეს სხვადასხვა რეგიონში, მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ დედამიწაზე ჯერ კიდევ აღმოუჩენელია ხის დაახლოებით 9200 სახეობა. თუმცა, ისინი სრულად აცნობიერებენ, რომ ეს შეფასება არასრულ მონაცემებს ეფუძნება, მათ შორის ისეთ ზონებს, სადაც ხის სახეობათა აღრიცხვა და ანალიზი შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, ანალიზები მნიშვნელოვან ახალ ცნობებს გვაწვდის მსოფლიოში ხეების გადანაწილებისა და გავრცელების შესახებ.

„ჩვენი შეფასებები და კონტინენტური მასშტაბები აჩვენებს, რომ დედამიწაზე ხის სახეობათა დაახლოებით 43 პროცენტი სამხრეთ ამერიკაშია, შემდეგ მოდის ევრაზია (22 პროცენტი), აფრიკა (16 პროცენტი), ჩრდილოეთ ამერიკა (15 პროცენტი) და ოკეანეთი (11 პროცენტი)“, — წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში.

მათივე განცხადებით, ყველაზე მეტი აღმოუჩენელი სახეობა სავარაუდოდ სამხრეთ ამერიკაშია. მკვლევართა ვარაუდით, სამხრეთამერიკული აღმოუჩენელი სახეობები ყველა აღმოუჩენელი სახეობის 40 პროცენტს უნდა შეადგენდეს. ასევე სამხრეთ ამერიკაშია თავმოყრილი იშვიათ სახეობათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (დაახლოებით 8200 სახეობა) და ენდემურ სახეობათა უდიდესი წილი (49 პროცენტი).

„გარდა სამხრეთ ამერიკაში ჩვენთვის ცნობილი 27 000 ხის სახეობისა, იქ შეიძლება კიდევ 4000-ზე მეტი სახეობა იყოს აღმოუჩენელი. ამიტომ, სამხრეთ ამერიკაში ტყის კონსერვაცია პირველი ხარისხის ამოცანა უნდა იყოს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ტროპიკული ტყეების ამჟამინდელ კრიზისს, რასაც ანთროპოგენური გავლენა იწვევს, მაგალითად, ჩეხვა, ხანძრები და კლიმატის ცვლილება“, — ამბობს მიჩიგანის უნივერსიტეტის სატყეო ეკოლოგი პიტერ რაიხი.

კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ჯემალ კალანდაძე – 85!

დიდი და ცნობილი ოჯახის პატრონი. შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილის მოსიყვარულე კაცი. ცნობილი მეწარმე და ხელმძღვანელი, საუკეთესო ხმის პატრონი, სიმღერის არაჩვეულებრივი შემსრულებელი (ძმაკაცებისთვის შენი სიმღერა – „ყვავილების ქვეყანა“ რჩება განუმეორებლად).

დიდხანს იცოცხლე

შენი მეგობრები: ლევან ჯიბუტი, იური ოსიპოვი, ფრიდონ სულაბერიძე, თამაზ კიკალიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ალიკ ოღლიშვილი, ზურაბ კუპრაშვილი, გივი ცაგარელი ოჯახებით.

უსახლკარო ოჯახები თანდათან დასახლკარდებიან

თბილისის მერიამ, უსახლკაროების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალური საცხოვრებელი ფართით უსახლკაროს სტატუსის მქონე რვა ოჯახი დააკმაყოფილა. მერიის ინფორმაციით, ერთერთ ოჯახს, დედაქალაქის მერი კახა კალაძე ვაზისუბნის დასახლებაში ესტუმრა და საცხოვრებელი ფართის მიღება მიულოცა.

„დავიწყეთ უსახლკაროების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართებით. ეს იყო ჩემი წინასაარჩევნო დაპირება. დაახლოებით 400-მდე ამ სტატუსის მატარებელი ოჯახი გვყავს და ჩვენი დაპირება არის ის, რომ ყველა მათგანი დაკმაყოფილდეს მუნიციპალური საცხოვრებელი ფართებით. ძალიან მიხარია, რომ დღეს უკვე გვაქვს შესაძლებლობა, 8 ოჯახს გადაეცეს ბინები. წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული ოჯახი დაკმაყოფილდება – დაახლოებით, 60-ზე მეტი. მინდა, კვიციანაძეების ოჯახს მივულოცო დღევანდელი დღე. ის სიხარული, რაც მათ აქვთ, გასაზიარებელია. როგორც ქალაქის მერი, დღეს, მათთან ერთად ბედნიერი ვარ“, – განაცხადა კახა კალაძემ. უსახლკარო ოჯახებს საცხოვრებელი ფართები სარგებლობის უფლებით გადაეცემათ.

ჭერი – დევნილებს

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო მიმდინარე წელს ქუთაისში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინას 800 დევნილ ოჯახს გადასცემს, – ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა და ეკომიგრანტთა სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ბინების რაოდენობის გათვალისწინებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ განსაზღვრა, რამდენ ოთახიან ბინაზე რამდენ ქულიანი იძულებით გადაადგილებული ოჯახები დაექვემდებარებიან მონიტორინგს.

მონიტორინგის ჯგუფები მუშაობას უახლოეს პერიოდში დაიწყებენ და ჯამში, 1972 დევნილი ოჯახის საცხოვრებელ პირობებსა და საჭიროებებს ადგილზე შეისწავლიან. ბინების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას კომისია ღიად და გამჭვირვალედ, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად მიიღებს. ქუთაისში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით, განაცხადი, ჯამში, 3900-მა დევნილმა ოჯახმა შეავსო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თითოეულ აპლიკანტს წინასწარი ქულა მიენიჭა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

თქვენგან გაღებული თითოეული ლარი გადაარჩენს ამ ყველაზე საჭირო გაზეთს!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ავიაკომპანიებისა და აეროპორტების ფორუმი ფინეთში

ფინეთის ქალაქ ტამპერეში, ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი CONNET 2022 იმართება. საქართველოს ფორუმზე საქართველოს აეროპორტების გაერთიანება და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წარმოადგენენ, სადაც მათ ერთობლივი სტენდი აქვთ სხვადასხვა საპრომოციო მასალებით, საქართველოსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შესახებ გადაღებული ვიდეო მასალით, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, რიგით მე-18 ფორუმში 50-ზე მეტი ავიაკომპანიისა და 200-ზე მეტი აეროპორტის 500-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობს. საქართველოს დელეგაციას ფორუმზე საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი, თამარ არჩუაძე ხელმძღვანელობს. სამდღიანი ფორუმის ფარგლებში, აეროპორტების გაერთიანებას სხვადასხვა ავიაკომპანიასთან, პარტნიორ აეროპორტებთან და საავიაციო ინდუსტრიის სხვა წარმომადგენლებთან 30 ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩანიშნული. ფორუმის პირველ დღეს შეხვედრები გაიმართა Skyscanner-თან, lufthansa Airline-თან, ომანის აეროპორტთან, Easy jet-თან და Eurowings-თან.

CONNET 2022 მისასალმებელი სიტყვით აეროპორტების საგენტოსა და CONNET-ის დამფუძნებელმა კარენ ბუტომ და ქალაქ ტამპერეს მერმა ანა-კაისა იკონენმა გახსნეს და მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს. CONNET – მასშტაბური საერთაშორისო დონის ღონისძიება წელიწადში ერთხელ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იმართება. 2018 წლის თებერვალში, რიგით მეთხუთმეტე საიუბილეო ფორუმის მასპინძელი საქართველო იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0162; ევრო - 3.4249;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1002;
100 რუბლი - 3.7919; თურქული ლირა - 0.2185;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7737;
1000 სომხური დრამი - 6.2944.

ამინდი 25 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge